პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

25 თებერვალი შაბათი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. [illegible] ყოველ დღე [illegible] ექიმების დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 45 შაბათი, 25 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 25 თებერვალი 1922 წ. № 45

დღეს საქართველოს მუშებისა და გლეხების მენშევიკურ რეჟიმზე გამარჯვების და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთი წლის თავია!

დღევანდელი დღე ერთი წლის დაუღალავი მუშაობის საბჭოთა პირველი ყრილობით დაგვირგვინების ბრწყინვალე და საზეიმო დღეა.

დღეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა აცნობს მთელ ქვეყნიერებას ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გულის ნადებს.

გაუმარჯოს სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მატროსთა პირველ ყრილობას.
გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას.
გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას.

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოთა მომწვევი ცენტრალური საარჩევნო

კომისია

აუწყებს საბჭოს ყრილობის ჩამოსულ დელეგატებს, რომ დელეგატების ჩამოსვლის დაგვიანების გამო 1-ლი სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის გახსნა გადადებულია იმავე 25 თებერვლისთვის.

დღეს, 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლის თავის დღესასწაულის დღეს დილით გაიმართება რაიონებში

მიტინგები,

რომლებზედაც გამოვლენ:

1-ლი რაიონი—ამხ. ამხ. ელიავა და ნუცუბიძე—10 საათზე.
მე-2 რაიონი—ამხ. ამხ. გევორქიანი და ივანოვი—10 ნახ. საათზე.
მე 3 რაიონი—ამხ. ამხ. ასრიბეკოვი და კახიანი—10 საათზე.
მე 4 რაიონი—ამხ. ლოლობერიძე—11 საათზე.
მე 5 რაიონი—ამხ. ალი-ტაგი ზადე—10 საათზე.

სააგიტ.-პროპ. განყოფილება საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტისა.

საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებებს და დახმარებას საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

სრულიად საქართველოს ყრილობის დელეგატების

საყურადღებოდ

ქ. თბილისში ჩამოსულ დელეგატებს ვთხოვთ გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ (სასახლე, ოთახი № 22).

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

---

25 თებერვალი 1921 წ.

დღეს, 25 თებერვალს სრულდება ერთი წელი, რაც საქართველოში დამხობილ იქნა მენშევიკების ჯალათური მთავრობა და მის მაგივრათ შესდგარი ჭეშმარიტად რევოლუციონური და მუშებისა და საზოგადოთ მშრომელთა მასების ინტერესების ერთგული მოდარაჯე მთავრობა, საბჭოთა მთავრობა.

დღეს სრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც ჩვენს დედა-ქალაქ თბილისში ჩამოხსნილ იქნა კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიის სამფეროვანი დროშა და მის მაგივრათ აფრიალებული მუშათა კლასის სისხლში შეღებილი დროშა, დროშა საქართველოს მუშებისა და გლეხების განთავისუფლებისა, დროშა საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობისა და მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციისა.

ერთი წლის წინათ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა წითელი მუშურ-გლეხური რუსეთის, ან უკეთ რომ ვთქვათ, საერთაშორისო რევოლუციონურ პროლეტარიატის წითელი არმიის შემწეობითა და დახმარებით ფოლადის ცოცხით გახვეტეს წითელ ბაღისიდან მენშევიკური ნაგავი და გაატანეს ის დასავლეთის იმპერიალისტების ქარს.

ერთი წელია, რაც საქართველოს მუშები და ღარიბი გლეხები თავისუფლათ სუნთქავენ და ეწევიან ენერგიულ მუშაობას თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლათ და ქვეყნის დაცემული მეურნეობის აღსადგენათ.

და აი, ამ დროს, როდესაც ისინი თავს არ იზოგავენ, რათა ააყვაონ და გაფურჩქნონ მათი ჭეშმარიტათ სოციალისტური სამშობლო, რომელიც გაწმენდილ იქნა ყოველგვარ მენშევიკურ უსუფთაობისაგან,—ამ დროს ბურჟუაზიულ ქვეყნებისაკენ გადახვეწილი ქართველი მენშევიკები, მათ ერთგულ ძმებთან, დასავლეთის მენშევიკებთან ერთად, ქართველი მშრომელი ხალხის ნაძარცვით, რომელიც მოიტაცეს ყაჩაღურათ გაქცევის დროს, ეწევიან საშინელ მოწამლულ აგიტაციას ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის მოწინავე რევოლუციონურ ავანგარდის წინააღმდეგ და მუხლმოდრეკილი ეხვეწებიან და ევედრებიან მსოფლიო მუშათა კლასის მტანჯველებსა და მჩაგვრელებს, რათა დაეხმარონ ეს უკანასკნელები საქართველოს მუშათა კლასისათვის კარგათ ცნობილ გამცემელ მენშევიკებს დაკარგულ ხელისუფლების დასაპყრობათ ჩვენში. ამ მიზნისთვის ისინი არ ერიდებიან არაფერს. ჭორებითა და ცილისწამებით ჩვენს წინააღმდეგ სურთ მათ გაფლანგული პარტიული კაპიტალის დაგროვება და მისი ხელახლა მიმართვა საქართველოს განთავისუფლებულ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მათ სურთ მოაჩვენონ დასავლეთის მუშათა კლასს, რომ ვითომ ქართველი მუშები და გლეხები მტრულათ უყურებენ მათთვის „უცხო“ მთავრობას და სულგანაბული ელიან წამს, როდესაც ეს მთავრობა დაემხობა და მის ადგილს დაიჭერს ისევ ძველებური „მთელი ქართველი ხალხის-მიერ არჩეული“.

მაგრამ კოვზი ნაცარში უვარდებათ დასავლეთის მუშები და საზოგადოთ მშრომელთა მასები მშვენივრათ იცნობენ მათ გამცემლურ ბუნებას, „მათ თავდადებულ ბრძოლას“ მუშათა კლასისათვის, იცნობენ საკუთარ მენშევიკებზე მაგალითით, რომლებსაც კარგა ხანია ზურგი შეაქციეს მათ, როგორც ბურჟუაზიისა და მისი წყალობების ერთგულ დამცველებს.

აქ კი, ჩვენში, ქართველმა მუშებმა და გლეხებმა საკადრისი პასუხი გასცეს მათ მით, რომ ენერგიული მონაწილეობა მიიღეს მუშებისა და გლეხების საბჭოების არჩევნებში და მათში სულ ერთიანათ მოწინავე მუშებისა და გლეხების გაყვანით. და დღეს კი, საქართველოს პროლეტარული რევოლუციის სწორეთ წლის თავზე ღირსეულათ აგვირგვინებენ მუშათა და გლეხთა მასების ნება-სურვილების გამოხატვის მუშაობას, ხსნიან სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა პირველ ყრილობას, რომელიც უზენაესი და მშრომელთა მასების სრული ნების-ყოფის გამომხატველი ორგანოა.

სრულიად შემთხვევითი როდია ის მოვლენა, რომ სოციალისტური რე- [illegible]

[illegible] ურევია არც ერთი მშრომელი ხალხის მტერი.

დღევანდელი დღე საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის ორნაირათ არის საზეიმო და სადღესასწაულო. ერთი, დღეს სრულდება ერთი [illegible]

ს. ანდრიაძე.

---

25 თებერვლის საერთაშორისო მნიშვნელობა

Никогда, никогда не сольются
День и ночь в одну колею,
Никогда не умрет Революция,
Не закончив работу свою!..

Александровский.

[illegible]

... აზრი თავი მსოფლიო ომის მიერ შექმნილ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს—თუ ყველაფერი ეს ასე არის დღეს—ამაში უდიდესი და უმნიშვნელოვანესი, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი, როლი ითამაშა საერთაშორისო მენშევიზმმა, მე 2 ინტერნაციონალმა. პროლეტარული მსოფლიო რევოლუციის უდიდესი ტრაგედია უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ობიექტიურ მიზეზებით მისი დაბადების დრო მოვიდა მაშინ, როდესაც პროლეტარული მასები ჯერ კიდევ არ იყვნენ სავსებით განთავისუფლებულნი სუბიექტიურად საერთაშორისო მენშევიზმის გავლენისაგან. ყვითელი „სოციალიზმი“ შექმნა უმძიმეს ტორმოზათ რევოლუციის წინსვლელობაში. და აი სწორედ ამაში გამოიხატება მენშევიზმის „უდიდესი“ მნიშვნელობა, მისი „ისტორიულობა“, მისი უსაძაგლესი და პროგრესის თვალთახედვით გაუმართლებელი ღალატი რევოლუციის წინაშე. ბურჟუაზიას შეუძლიან სამართლიანად იამაყოს, რომ მას ასეთი „ღირსეული“ მეგობარი დამცველი ჰყავდა პროლეტარიატთან ბრძოლის დროს, მენშევიზმსაც შეუძლია არა ნაკლებად იამაყოს—ჩვენ ამის უფლებას მას არც წავართმევთ და ვერც წავართმევთ—რომ მან „ღირსეულადვე“ შეასრულა ბურჟუაზიის მიერ ობიექტიურად მასზე დაკისრებული როლი პროლეტარიატის მოღალატისა, საერთაშორისო რევოლუციის გამცემლისა. დღეს, მართალია, სიტყვები „მოღალატე“, „გამცემელი“, „გაუყიდველი“, უბრალო ტრუიზმებად იქცნენ, ისინი უკვე არავის არ აკვირვებს და არც აშინებს, რადგან დღეს მათ ძალიან იაფად ხმარობენ.. მაგრამ ამ სიტყვებს ჩვენ გვინდა მივცეთ აქ ძველი მათი მნიშვნელობა, როდესაც „მოღალატის და გამცემლის“ წარმოთქმაზე ყველა პატიოსან ადამიანს განუსაზღვრელი ზიზღი და უსაშინელესი გულისწყრომა იპყრობდა. ასეთი მოღალატის და გამცემლის როლი ღირსეულად გაითამაშა მენშევიზმმა ყველგან.. ეს ლიტონი სიტყვები არ არის, არც გადამეტება. ეს არის ფაქტების აღნიშვნა [illegible]

[illegible] ფის—მენშევიკებმა გამოიყენეს, როგორც იარაღი, თანამედროვე პირობებში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი, რევოლუციასთან საბრძოლველად. ეს ნათელი და აშკარაა, ისევე, როგორც ნათელი და აშკარაა ის, რომ მენშევიკების მიერ საქართველოსათვის მინიჭებული „დამოუკიდებლობა“, იყო დამოუკიდებლობა მხოლოდ რევოლუციისგან და სრული და ყოველმხრივი დამოკიდებულება იმპერიალიზმისაგან. თვით ფაქტი მენშევიკური „დამოუკიდებელი“ საქართველოს შექმნისა—ამ მიზნით იყო გამოწვეული მხოლოდ.

მენშევიკებს ვერავინ ვერ წაართმევს მათ სრულ „ინტერნაციონალიზმს“ ბურჟუაზიულ წყობილების დაცვის საქმეში, ისევე როგორც ამასვე ვერ წავართმევთ მათ უფროს მეგობრებს—პუანკარეს, ლოიდ ჯორჯს, მილიუკოვს და სხვებს. მენშევიზმი მხოლოდ მაშინ ჩაიკეტა საქართველოს ფარგლებში, როდესაც იგი სასტიკად დამარცხდა რუსეთში, თორემ კარლოს ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი რუსეთის მეთაურების როლის თამაშს სრულიად სერიოზულად ფიქრობდნენ. ოქტომბრის მწვავე სხივებმა—გამორეკა ისინი მოსკოვ-პეტერბურგიდან.. მხოლოდ თბილისი მას შემდეგ გახდა მათი სატახტო ქალაქი, რაც მათ დაკარგეს მოსკოვი და პიტერი. საქართველოდან მათ მოინდომეს იმ ბრძოლის გაგრძელება—მენშევიზმს და ბოლშევიზმს შორის—რომელიც მათ წააგეს ოქტომბერს რუსეთში. მენშევიკურ საქართველოს მთელი სამი წლის არსებობა—ამ მიზანს ემსახურებოდა. ამას არც თვითონ მენშევიკები უარყოფდენ... ისინი ხშირად ამბობდნენ და სწერდენ, რომ როგორც კი რუსეთში გაიმარჯვებს „დემოკრატიზმი“ (ჩვენებურათ: მილიუკოვ-კერენსკი-დენიკინი)—ისინი ისევე აღადგენენ ერთობის კავშირს რუსეთთან... ბოლშევიკების დამარცხება რუსეთში ე. ი. რუსეთის პროლეტარიატის განადგურება თეთრი გენერლის მიერ—იქნებოდა მენშევიკების „ინტერნაციონალიზმის“ გამარჯვება და ისინიც აღადგენდენ კვლავ „ძმურ“ კავშირს საქართველოსას „განთავისუფლებულ უფროს ძმა“ რუსეთთან. აქ არავინ არ უნდა იფიქროს ის, რომ შეიძლება ასეთ აზრს ადგნენ მხოლოდ ქართველი მენშევიკები... სრულიადაც არა. ეს იყო მთელი საერთაშორისო მენშევიზმის აზრი. და თუ კი საქართველოში გვემონია ქონდათ ქართველ—მენშევიკებს ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ უფრო მეტი გავლენა ქონდათ აქ და ფაქტიკურად ეს უფრო ხელსაყრელი იყო მათთვის, თორემ ფაქტიურად დანი და ვანდერველდე ისეთივე მებატონე იყვნენ საქართველოში, როგორც ჟორდანია და წერეთელი. ქართველი მენშევიკების სახით საქართველოდან ფრონტი იყო გამართული საერთაშორისო მენშევიზმისა საბჭოთა რუსეთის და მაშასადამე საერთაშორისო ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ვისაც კი გულდადებით და დაკვირვებით გაუთვალისწინებია მენშევიკური საქართველოს სამი წლის სამარცხვინო არსებობა—მისთვის ნათელი და საანბანო ჭეშმარიტება იქნება ეს. ვინაიდან მოკლედ რომ ვთქვათ, სხვას რას წარმოადგენდა მენშევიკური საქართველო, თუ არა განხორციელებას და განხორციელებას საერთაშორისო მენშევიზმის, მაშასადამე საერთაშორისო რეაქციის ბრძოლისა საბჭოთა რუსეთის და მაშასადამე მსოფლიო რევოლუციის წინააღმდეგ!! მენშევიზმმა მოინდომა თავისი შუხობის აგება საქართველოში. „დემოკრატიის“ „სამოთხე“ უნდა დაპირისპირებოდა საქართველოს „დიქტატურის“ „საშინელებას“ და „ჯოჯოხეთს“ საბჭოთა რუსეთის სახით. თუ კი საბჭოთა რუსეთი თავის საყვარელ შვილად გამოაცხადა საერთაშორისო ბოლშევიზმა—მე 3 ინტერნალმა, ასეთივე სიყვარულით ელოლიავებოდა თავს საერთაშორისო მენშევიზმი,—მე 2 ინტერნაციონალი „დემოკრატიულ“ საქართველოს.

ყველას ახსოვს ის ზეიმი და სიხარული, რომლითაც საქართველოს მენშევიკებმა შეხვედრეს მენშევიკური საქართველო მე-2 ინტერნაციონალის მეთაურებს. ყველას ახსოვს ის „მუქარით“ და „ღმერთებით“ აღვსილი სიტყვები, რომლებითაც მიმართავდნენ „დემოკრატიულ“ საქართველოზე დაყუდნობილი ვანდერველდე, სნოუდენი, კაუცკი და სხვა „ბუმბერაზები“ მე-2 ინ. საბჭოთა რუსეთს. საქართველოს „სოციალიზმის“ სხივებში უნდა დამწვარიყო საბჭოთა რუსეთის კომუნიზმი.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ეს მუქარა მარტო სიტყვები არ იყო. მართალია არავის უნახავს მენშევიკურ საქართველოს „სოციალიზმის“ „სხივები“ მით უმეტეს საბჭოთა რუსეთის კომუნიზმის დამწველი, მაგრამ ყველას უნახავს ამ „სოციალიზმის“ საფარველ ქვეშ აშკარად მომუშავე.

შტიკები და პულემიოტები ვილჰელმის, სულთანის, ლოიდ-ჯორჯის და იტალიის მეფის. „სოციალიზმის“ ეს იარაღები ყველას უნახავს აქ და საბჭოთა რუსეთიც მართალია ამას დიდი ანგარიშს უწევდა. მენშევიზმის საშუალებით საქართველოში კარი გაეხსნა ევროპის რეაქციას...

საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ საერთაშორისო მენშევიზმთან ერთად და მის დახმარებით საქართველოდან. საერთაშორისო იმპერიალიზმმა ახალი და ძლიერ მნიშვნელოვანი ფრონტი გამართა. ყირიმი, დაღესტანი, განჯა და თებერვალი სომხეთში—ამის საუკეთესო დამამტკიცებელი ფაქტებია.

როგორც ეს მოხდა ყველგან (გერმანია, ავსტრია, პოლონეთი)—საქართველოშიც მენშევიკების „დემოკრატია“ ფაქტიურად გადაიქცა საერთაშორისო რეაქციის დიქტატურის ბუდეთ და ქვა კუთხედათ.

მენშევიზმი, როგორც იარაღი მსოფლიო იმპერიალიზმისა—კომუნიზმის წინააღმდეგ მართლაც რომ კლასიკურად იქმნა გამოყენებული საქართველოში..

მენშევიზმის ბრალი არ არის ის, რომ იგი გაუტეხი არ გამოდგა.. მან „ღირსეულად“ შეასრულა თავისი როლი რეაქციის იარაღისა.. რაც შეეძლო ქნა...არ დაუშურავს არაფერი, მეტის მიცემა მან ვერ შეძლო, რადგან არ შეეძლო.. ამაში ბრალს მას ვერ დავდებთ. ფრანგული ანდაზის არ იყოს: „უმშვენიერეს ქალსაც არ ძალუძს მოგვცეს იმაზედ მეტი, რაც მას გააჩნია“. მენშევიზმა რაც კი გააჩნდა საქართველოში გულუხვათ შესთავაზა კომუნიზმის მტრებს.

ის სჭრიდა დაუღალავად, მანამ სანამ არ დაჩლუნგდა, იბრძოდა, მანამ სანამ შესწევდა ძალები. საერთაშორისო რეაქცია—ამას მას არასდროს არ დაუვიწყებს.

25 თებერვალს 1921 წელს ალმოხდა მას შავი სამარცხვინო ლაქით გასვრილი სული.

25 თებერვალს მოკვდა იგი.

მოკვდა ისე, როგორც ეს შეეფერობოდა მას: ახალი ღალატით, ახალი გამცემლობით. სიკვდილის წუთებშიც მან მოახერხა ბათომის მიყიდვა ქემალისთვის და რევოლუციონერების ცეცხლით დაწვა ქუთაისში.

25 თებერვალს დამთავრდა ბოლშევიზმის ბრძოლა მენშევიზმთან საქართველოში.

25 ოქტომბერმა 25 თებერვალს გაიმარჯვა ბრწყინვალედ.

25 თებერვალს საერთაშორისო რევოლუციამ ერთი დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო რეაქციასთან ბრძოლაში.

25 თებერვალს მსოფლიო ბოლშევიზმმა უძლიერესი ლახვარი ჩასცა მსოფლიო მენშევიზმს.

ეს დღე სამახსოვრო დარჩება არა მარტო საქართველოს ისტორიაში, არამედ იმ ისტორიაშიაც, რომელსაც დაწერს მომავალში გამარჯვებული კაცობრიობა თავისი წარსულის შესახებ.

Никогда не умрет Революция
Не закончив работу свою!

ვ. ბახტაძე.

---

25 თებერვალი

დღეს შესრულდება ერთი წელიწადი იმ წუთიდან, როცა საქართველოს დედა ქალაქში, ამიერ-კავკასიის გულში, თბილისში მსოფლიო მებრძოლი პროლეტარიატის იდეალის, კომუნიზმის წითელი დროშა აღიმართა!

დღეს საქართველოს ყოველ კუთხიდან საქართველოს მუშების და გლეხების, საქართველოს მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენლები თავს იყრიან აქ, საქართველოს დედა ქალაქში, ამიერ-კავკასიის ცენტრში, თბილისში და სურთ ერთხელ და საბოლოვოთ ჩაუყარონ მტკიცე საფუძველი სოციალისტურ საბჭოთა წყობილებას: გამოაცხადონ თავი საქართველოს ბატონპატრონათ და შეფიცონ მსოფლიო კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი კომუნიზმის წითელ დროშას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს!

აი ჩვენი ცხოვრების ეს ორი უდიდესი და გადამჭრელი გარემოება, თებერვლის 25 ს ჩვენს საერთო უდიდეს სადღესასწაულო დღეთ აქცევს.

დღევანდელი დღე ჭეშმარიტათ საერო, საქართველოს სახალხო დღესასწაულის დღეა! დღევანდელი დღე ჩვენთვის, საქართველოს ხალხისთვის უაღრესათ საზეიმო დღეა!

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ისევ ცხოვრობენ მრავალრიცხოვანი სხვა და სხვა ჯგუფები, რომლებიც ახლანდელ უმძაფრეს სამოქალაქო ომში დამარცხებულ პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ყრილობისათვის

წესრიგი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლის თავისა და სრულიად საქართველოს მუშათა, წითელარმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა პირველ ყრილობის გახსნის დღესასწაულისა, 25 თებერვალს 1922 წ.

ა) დილით 9 საათზე ყველა მუშები და მოსამსახურეები იკრიბებიან თავიანთ წარმოებებში, საიდანაც შიდიან შემდეგ შესაკრებ ადგილებში:

1) რაიონი—ნაძალადევის მოედანი დილის 11 საათზე.

2) რაიონი — ავჭალის მოედანი, („კომეტას“ ფაბრიკა) დილის 10 ნახევარ საათზე.

3) რაიონი—კახეთის მოედანი, დილის 10 საათზე.

4) რაიონი—ამხ. ლენინის ქუჩაზე დილის 11 ს.

5) ქვე-რაიონი—ადელხანოვის ქარხანა, დილის 10 საათზე.

შეიკრიბებიან რა აღნიშნულ ადგილებში, სახელდახელო მიტინგების შემდეგ რაიონებში გაემართებიან ქალაქის ცენტრისაკენ რუსთაველის პროსპექტზე დაწკრივდებიან დაწყებული სასტუმრო „ორიანტიდან“, სადაც მარცხენა ფრთა დადგება, შემდეგ რიგზე: 1 რაიონი სასტუმრო „ორიანტთან“ ფრონტით სასახლისაკენ, ხოლო დანარჩენი რაიონები, ნომრების რიგზე; მწკრივდებიან პროსპექტის სიგრძეზე ამხ. ლენინის ძეგლამდე ისეთი ანგარიშით, რომ ყველა რაიონები გამწკრივებულნი იყვნენ დილის 12 საათისთვის.

ბ) ჯარები გამწკრივდებიან რუსთაველის პროსპექტის ჩრდილის მხარეზე მათი მარჯვენა ფრთა იდგება სამხედრო ტაძართან.

გ) პარადს იღებს საბჭოთა ყრილობა ჯარის რევ. სამხედრო საბჭოსთან ერთად—სასახლესთან.

დ) სამხედრო ნაწილების და მუშათა ორგანიზაციების მისალმების შემდეგ იხსნება მიტინგები: მუშათა სასახლესთან, სახელმწიფო ოპერასთან და ამხ. ლენინის ძეგლთან.

ე) მიტინგების დასრულების შემდეგ ჯარები ცერემონიალის მარშით და მათ შემდეგ რაიონები გაემართებიან ერევნის მოედნისკენ და წავლენ პირველნი ყაზარმებში, მეორენი რაიონებში.

კომისიის თავმჯდომარე **ა. გეგეჭკორი**, მდივანი **გ. ყურულაშვილი**.

ბრძანება № 7

თბილისის ქალაქის ალმასკომისა ქალაქის მორთვის შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავის დღეს.

ყველა სახლკომებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს, სახლის პატრონებს და ბინის პატრონებს წინადადება ეძლევათ მორთონ სახლები და შენობები 25 თებერვლის დილისთვის.

ამ მიზნისთვის მათ უნდა გამოიყენონ რაც კი შინ ხალიჩები, ფეროვანი მატერიები, დროშები და სხვა ამნაირები აქვთ, ხოლო ის სახლები, სადაც ბაღებია, უნდა მორთვან ყვავილებით და ყვავილთ გრეხილებით.

საღ მოთი უნდა გამოიყენონ ყოველგვარი განათება და ქუჩას პირათ ფანჯრები გაანათონ ლამფებით, მაშხალებით და სხვა.

ქალაქის მილიციის სარაიონო კომისარებს მათი პირად პასუხისმგებლობით ევალებათ თვალი ადევნონ ამ ბრძანების ზედმიწევნით ასრულებას და ყოველნაირი დახმარება გაუწიონ სახლკომებს, საბჭოთა შენობათა კომენდანტებს და კერძო პირებს ამ ბრძანების შესრულებაში.

თავმჯდომარის მაგიერი **გეგეჭკორი**.

ადლუმში მონაწილეობა

ადლუმში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც უნდა მოხდეს 25 თებერვალს, ყველა დელეგატები უნდა შეიკრიბონ 10 საათზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ბინაზე.

სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრების და კომისართა მოადგილეების საყურადღებოდ

ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრების და კომისარების მოადგილეების საყურადღებოდ, რომელთაც ყრილობისთვის არა აქვს მანდატები, რომ ისინი უნდა შემოვიდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სასახლეში, შესაშვებ ბარათების მისაღებად.

ტიების, კლასების და წოდების ნაშთებს წარმოადგენენ. ესენი არიან: თავად—აზნაურები, მემამულეები, მღვდლები, ბერები, შემდეგ: სხვა და სხვა სისქისა და სიმსხოს ბურჟუები, დამხობილი მთავრობების ლუკმამოცლილი ყოფილი ჩინოსნები, აგენტები, გვარდიელები, ოფიცრები, აგრეთვე „მოწამლული“ და გაუწვრთნელი მენშევიკები, ფედერალისტები, ნაციონალ დემოკრატები, რომლებიც „ნეიტრალურ“ პირობებს ვერ ეწყობიან, „ნეიტრალურ“ გარემოებას ვერ იტანენ და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას ჩვენს საწინააღმდეგოთ იყენებენ. აი ამ შავ ლაშქარს უნდა ჩვენი სრული გამარჯვების ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი დღესასწაული, 25 თებერვალი გლოვისა და ტირილის, ვაისა და უის დღეთ აქციოს! მას სურს კომუნიზმის წითელი დროშის ალაგას საქართველოში შავი სამგლოვიარო დროშა აღმართოს. მას სურს, მარა... „ძალა არ შესწევს ქადილსა“!

ომი, რომელიც მათ საქართველოს მუშებსა და გლეხებს „სისხლიან შაბათს“, 1918 წლის 23 თებერვალს ტყვიის მფრქვეველის ახმაურებით ყოფილ ალექსანდრეს ბაღში გამოუცხადეს, 1921 წლის 25 თებერვალს სისხლიან შუაღამისას კოჯორის მიდამოებში და ტაბახმელაზე სრულიათ და საბოლოვოთ წააგეს.

სამი წლის განუწყვეტელმა, საქართველოს კომუნისტების თავგანწირულმა ბრძოლამ გამოიღო თავისი ნაყოფი: საქართველოს მშრომელი ხალხი სამი წლით რუსეთის პროლეტარიატს ჩამოშორებული, ისევ ძმური სიყვარულით გადაეხვია მას ყელზე და ხელაღებით დაადგა მის მიერ გაკაფულ ისტორიულ გზას, გზას კომუნიზმისას.

ამით გაბათილდა, გაცრუვდა ქართული მენშევიზმის ლიდერის, ნოე ჟორდანიას ყალბი სიბრძნით გაჟღენთილი წინასწარმეტყველება: „ქართველი მშრომელი ხალხი რუსის ხალხის სავალ გზას არ დაადგებაო“.

თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდა ამ გზაზე დადგომისათვის ქართველი მშრომელი ხალხი, ამას მოწმობენ საქართველოს ის წმიდა ადგილები, რომლებიც საქართველოს მუშებისა და გლეხების, საქართველოს კომუნისტების სისხლით არის გაპოხიერებული; ამას მოწმობენ: თბილისში ყოფილი ალექსანდრეს ბაღი, კახეთში ლაგოდეხის მიდამოები, ქართლში დუშეთის, ცხინვალის, გორის ველები, სამეგრელოსა და ლეჩხუმ-სვანეთის საზღვრებზე ისტორიული „ბომბეჟის ხიდი“ და გურიაში მისი კლდეული სერები, ნიგოითის ფერდობები და გაშლილი მინდვრები, სადაც უსწორო ბრძოლაში მსხვერპლათ შეეწირა კომუნიზმს თერთმეტი ვაჟკაცი-კომუნისტი.

ამის შემდეგ ვისა აქვს საბუთი თქვას, რომ საქართველოს მშრომელ ხალხს თავისი საკუთარი სისხლით არ დაუპყრია ძალა უფლება საქართველოში?!

საქართველოს მშრომელმა ხალხმა ზღვა სისხლი დაღვარა ამ უფლების დასაპყრობათ და მან საქართველოს კომუნისტების წინამძღოლობითა და ხელმძღვანელობით მოამზადა ის პირობები, რომლის ძალით დიდი რუსეთის, მოძმე დიდი ერის პროლეტარიატის შეიარაღებულმა ძალამ, წითელმა არმიამ საქართველოს მებრძოლ მუშებსა და გლეხებს კომუნიზმის წითელი დროშა ჩააბარა და აი ამ დიდებულ აქტს,—კომუნიზმის წითელი დროშის ჩაბარებას—დღესასწაულობენ დღეს საქართველოს მუშები და გლეხები.

ამიტომ ისინი არავის ნებას არ მისცემენ, რომ თავგანწირული ბრძოლით მოპოვებული ეს უფლება რითიმე შეილახოს, რომ საქართველოს შავმა ლაშქარმა ოდნავ ნაბიჯი გადადგას, სიცოცხლის ნიშან წყალი გამოიჩინოს ამ დღეს! ასეთი ცდა მყისვე ძირშივე ჩაკლული იქმნება მთელი პროლეტარული დიქტატურის სისასტიკით.

ჩვენ, საქართველოს მშრომელ ხალხის დღეს მეორე მხრითაც გვმართებს ზეიმი!

დღეს პირველათ იკრიბება საქართველოს პირველი საბჭო, რომელმაც მთელ მსოფლიოს უნდა აუწყოს: აი აქ, ძველი და ახალი ქვეყნის, აზიისა და ევროპის ხიდზე, ამიერ-კავკასიის გულში, საქართველოში დღეს პირველათ ეყრება მტკიცე საფუძველი **სოციალისტურ** საბჭოთა წყობილებას, რომლის ძალით დ მეოხებით აქაც ამ პატარა, მარა მომხიბლავ საქართველოში აგებულ იქნება საყოველთაო ბედნიერების სასახლე, დიადი შენობა კომუნიზმისა.

რ. კალაძე.

ერთი წელი

ერთი წელია მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშათა კლასმა შინაურ სპეკულიანტებისა და უცხოელ კაპიტალისტების მონობის ჯაჭვები დასწყვიტა და შავბნელ რეაქციის დროს ერთ პურსა და ლხინის მოზიარე რუსეთის პროლეტარიატს ამ რეაქციის დამარცხების შემდეგ გვერდში ამოუდგა. მძიმე ობიექტიურ პირობებს რომ თავი დავანებოთ ერთი წელი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის ისედაც პატარა დროა, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაშიაც კი მეტად ბევრი და უდიდესი საქმეები გაკეთდა. მოეწყო მაგარი მუშურ-გლეხური სახელმწიფოებრივი აპარატი, სწორ გზაზე შესდგა და საძირკველი ჩაეყარა წარმოების აღორძინებას, ჩამოყალიბდა და გარკვეული სახე მიიღო მუშათა მოძრაობის ფორმამ, რადიკალურათ გადაწყდა მიწის საკითხი, ჩატარდა მთელი რიგი საბჭოთა არჩევნები სრულიად საქართველოს მასშტაბით და სხვა მრავალი. და ყოველივე ეს მოხდა მიუხედავათ საშინელ ცუდ პირობებისა, მიუხედავათ შექმნილ მძიმე ატმოსფერისა და ნაცარქექია პროვოკატორ „სოციალისტების“ წინააღმდეგობისა.—სოციალიზმისა და რევოლიუციის მტრები მენშევიკთა ბანაკიდან თუ წლის დასაწყისში იცინოდნენ და დამყარებულ ხელისუფლებას მხოლოდ რამდენიმე თვის სიცოცხლის ვადას აძლევდნენ, ახლა, როდესაც მათი ეს „ბრძნული“ პროგნოზი ცხოვრებამ სავსებით გაანიავა, ასევე ვერ მოიქცევიან ვინაიდან მათ ამ ჟამათ სატირალი უფრო მეტი აქვთ ვიდრე საცინელი.

გასული ერთი წლის განმავლობაში მათ იდეურ გაკოტრებას დაემატა ორგანიზაციული გაკოტრებაც. ხალხი, რომლის სახელით ლაპარაკი მათ მონოპოლიათ ჰქონდათ აღებული, უკვე ჩამოსცილდა მათ. შექმნილი ბურუსი და მოწამლული ატმოსფერა რამდენიმეთ გაიფანტა და დღეს ხალხი მდგომარეობას უკვე გაერკვა. ამის დამადასტურებელ ფაქტებს 1 წლის განმავლობაში მრავლათ ჰქონდა ადგილი. ამ მხრივ ორი მომენტია აღსანიშნავი: მენშევიკების გამოსვლები და ხალხის საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა. ხალხისგან გვერდზე მიგდებულთ, მათ, ყოველგვარ გამოსვლების ცდა სამარცხვინოთ და კარიკატიურულათ დაუსრულდათ. პირველი ნოემბერი და თერთმეტი თებერვალი მათი გაკოტრების მლაღადებელი დღეებია.

კიდევ უფრო მეტი აღსანიშნავია ხალხის საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა. ამ არჩევნებმა აშკარათ გვიჩვენა თუ საითკენაა მისი თანაგრძნობა და ვისთან ერთად ეპირება ის პურისა და ლხინის გაზიარებას.

ამგვარათ გასული წლის განმავლობაში გაკოტრების და დაუძლურების ნიშნები იყო მტრის ბანაკში და გაძლიერებისა და გამარჯვების ჩვენსაში.

მენშევიკები და საბჭოთა ხელისუფლების სხვა წვრილ ფეხა მტრები დღესაც ხელზე იხვევენ და ყოველ გზა ჯვარედინზე გაყვირიან თითქოს საქართველო მათი ბატონობის ჟამს იყო დამოუკიდებელი და დღეს საბჭოთა ხელისუფლების ჟამს ეს დამოუკიდებულობა დაკარგული აქვს. ისინი ამ შემთხვევაში ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერების ასოებს ემყარებიან, იმ ბურჟუაზიისას, რომელთაც კარგი ხანია მიეყიდნენ დ რომლის ბანაკშიაც აშკარათ და საჯაროთ გადაბარგდნენ.

მაგრამ მათ „დამოუკიდებლობაში“ არც ეს იურიდიული მეცნიერება იყო ყოველთვის დაცული და ამ მხრივაც ხშირათ ჰქონდა ადგილი მის დარღვევას. ვის არ ახსოვს გერმანიის დამარცხების შემდეგ ჩვენში ანტანტის ფერადი ჯარების შემოსვლა. ანტანტის იმპერიალისტები მაშინ არ შეკითხებია დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას და არც რაიმე სათანადო ნებართვა აუღია მათგან. ამ მთავრობისათვის არც მაშინ უკითხავთ რამე როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს განუყრელ ნაწილს ბათომის ოლქს ოკუპაცია უყვეს. მიუხედავათ დამოუკიდებლობისა შინაურ საქმეებში ჩარევასაც ხშირათ ქონდა ადგილი. მაგალითად ქვანის ხიდის ამფეთქებელს ინჟინერს დამოუკიდებელ საქართველოს სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ანტანტის გენერლებს არ მოეწონათ ეს და მათი განკარგულებით ის პირი დაუყონებლივ იქმნა განთავისუფლებული. კიდევ უფრო ადრე ვილგელმის გენერალმა ფონკრესმა ქართველ ფეოდალ მემამულეების საჩივრის გამო ნ. რამიშვილი დაიბარა და ყურები აუწია. ასეთი მაგალითები რამდენი ერთი უნდა ჩამოითვალოს.

ამგვარად მენშევიკების ჩვენში მოღვაწეობა ქართველი ერის დაცვა კი არ იყო, არამედ აშკარა ღალატი და გამცემლობა მშრომელი ხალხისა. ეს ვაჟბატონები უსირცხვილოთ ატყუილებდნენ ხალხს და სოციალიზმისთვის ბრძოლის საქმეში სოციალიზმის დაუძინებელ მტრებს უკავშირდებოდნენ და ფეხქვეშ ეგებებოდნენ, მაშინ როდესაც მის მეზობლათ მყოფ სოციალურ რევოლიუციის ცეცხლში გახვეულ რესპუბლიკებს ზურგიდან მახვილს სცემდნენ.

დღეს სულ სხვანაირი მდგომარეობაა. მშრომელი ხალხის საქართველო მხოლოდ დღეს არის დამოუკიდებელი და თავისუფალი. მან თავის მტრებისგან გაიმიჯნა და იქ სადაც გუშინ სამარცხვინო კავშირი იყო დღეს ბრძოლის ველი და პოზიციაა. და აი მტრისგან გამიჯნული საყვარელს და კეთილს ამოუდგა გვერდში და მასთან ერთად იბრძვის თავის ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. მაგრამ აქ იწყება მენშევიკების ისტერიკა დამოუკიდებლობის დარღვევაზე. თუმცა აქ საინტერესო არაფერია და სავსებით ბუნებრივი და ჩვეულებრივია რომ ერთი გზისკენ მიმავალ სახელმწიფოებს ერთმანეთს შორის მჭიდრო კავშირი ქონდესთ. მენშევიკური დამოუკიდებლობა ქართველ ხალხს არ უნდა. მუშურ-გლეხური საქართველო სოციალიზმისა და რევოლიუციისგან დამოუკიდებელი არასოდეს არ იქნება, სამაგიეროთ დამოუკიდებელი იქნება დ ამ დამოუკიდებლობას მედგრათაც დაიცავს მენშევიკების ხაზეინების კაპიტალისტებისაგან, დეე გაიგონ ეს მენშევიკებმა ერთხელ და სამუდამოთ.

გ. მეზუკე.

საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა და მისი მნიშვნელობა

დღეს, 25 თებერვალს, უნდა გაიხსნას საქართველოს საბჭოების **პირველი ყრილობა** დღეს, ერთი წლის თავზე დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა საქართველოში, ქ. თფილისში პირველათ იყრიან თავს საქართველოს მშრომელი მასსის, მუშების და გლეხების წარმომადგენლები. დღეს პირველათ იკრიბებიან ერთათ ქართველ მუშების და გლეხების წარმომადგენლები და აგრეთვე,—რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა,—წარმომადგენლები აჭარისტანის ანუ სამუსულმანო საქართველოს, აფხაზეთის, ოსეთის, თათრების, სომხების და რუს მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები და უწვდიან ერთმანეთს ძმურ ხელს.

ეს თავის თავად **უდიდესი ისტორიული დღეა** საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაჩაგრულნი და მონობაში მყოფნი მშრომელი ხალხი მთელ საქართველოში დღეიდან პირველათ იწყებს თავის საკუთარ და ნამდვილ თავისუფალ ცხოვრებას. დღეს მშრომელი მასსების წარმომადგენლები, შეკრებილნი საქართველოს ყველა ქალაქებიდან, მაზრებიდან, დაბებიდან და სოფლებიდან, განურჩევლათ ეროვნებისა და სქესისა, პირველათ აუწყებენ მთელ ქვეყნიერებას, რომ საქართველოს მუშები და გლეხები უკვე განთავისუფლდნენ ათასწლოვან მონობის უღლისაგან, რომ იმათ მოიშორეს თავიდან მყვლეფელ-მძარცველების, მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა და მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება მაგრათ და მტკიცეთ უჭირავთ თავის საკუთარ ხელში. სხვა და სხვა ეროვნების მშრომელი მასსები, ხალხის მძარცველ-მყვლეფელების ათასგვარი ოინებით დაშორებულნი ერთი ერთმანეთისაგან და ხელოვნურათ გადამტერებულნი ურთიერთ შორის, საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე შეეფიცებიან ერთიერთმანეთს იმ შეურყეველ დ მტკიცე სოლიდარობაზე და ძმურ კავშირზე, რომელიც მაინიჭა მათ **მშრომელთა ე ი. მუშების და გლეხების ხელისუფლებამ**.

დღევანდელი დღის უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მუშების, გლეხების და წითელ არმიელების საბჭოთა დეპუტატების პირველი ყრილობა **მტკიცე და შეურყეველ საფუძველს უყრის ჩვენში საბჭოთა ხელისუფლებას, ანუ მუშათა კლასსის სახელმწიფოს.**

რა არის საბჭოთა ხელისუფლება? რისთვისაა საჭირო დღეს მუშათა კლასსის სახელმწიფო. უხსოვარ დროიდან ხალხის, მშრომელი მასსის დიდ უმრავლესობაზე გაბატონდა უმცირესობა სხვა და სხვა გვარი მყვლეფელების და მჩაგვრელების სახით, იყვნენ ესენი სამხედრო ბელადები, თავადები, ერისთავები, მეფეები, თუ ფულით ან სხვა ქონებით შეძლებულები, ვაჭარ-მრეწველები, ბანკირები და კაპიტალისტები. ამ შეძლებულ და მდიდარ კლასსებმა, რომლებიც ხალხის უმცირესობას შეადგენდნენ, თანდათან საუკუნოების და ათასის წლების განმავლობაში შექმნეს სახელმწიფო მაგარი და ძლიერი აპარატით, ჯარით, სასამართლოთი, პოლიციით, სამღვდელოებით, საპყრობილეებით და სხვ. და სხვ. დაწესებულებებით, რომლებიც ემსახურებოდნენ ხალხის მყვლეფელების, მძარცველების კლასს მუშების და გლეხების დასამორჩილებლათ და დასამონებლათ. ასეთი მონური და ფეოდალური (ბატონყმური) სახელმწიფოები ძველათ და ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც დღეს არსებობენ თითქმის ყოველგან გარდა საბჭოთა ფედერაციის ქვეყნების. გაყვლეფილი და დაჩაგრული კლასები, მუშები და გლეხები, მუდამ შფოთავდნენ, მუდამ წუხდნენ და გმინავდნენ მონობის უღლის ქვეშ. ხანდისხან ისინი აჯანყებებსაც აწყობდნენ თავიანთ ჩაგვრელების, მემამულეების, თავადების და მეფეების წინააღმდეგ. მაგრამ მხოლოდ ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში იქმნება **ის ძალა**, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს მშრომელი ხალხის მონობასა და ჩაგვრა-წვალებას. ეს ძალა მებრძოლი **პროლეტარიატი ანუ მუშათა კლასის მოწინავე რაზმია**. პროლეტარიატმა უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იწყო ბრძოლის გაჩაღება თავის განსათავისუფლებლათ, მაგრამ დღემდის მან ვერ შესძლო მყვლეფელ მძარცველების დაძლევა, ვერც ერთ ქვეყანაში გარდა რუსეთისა. 1871 წელს პარიზის პროლეტარიატი აჯანყდა და შექმნა თავისი საკუთარი სახელმწიფო, რომელსაც კომუნა ერქვა. 1871 წლის **პარიზის კომუნა** იყო მუშათა კლასის **პირველი სახელმწიფო**, ვინაიდან მუშათა კლასის სახელმწიფოსათვის იმ დროს კიდევ არ იყო მომზადებული პირობები, ამიტომ პარიზის კომუნამ გასძლო მხოლოდ 2 ნახ. თვე და საფრანგეთის კაპიტალისტების და მემამულეების შეერთებულმა ხროვამ ის დასცა. ამას შემდეგ მუშათა კლასის სახელმწიფოს იდეა კვლავ ელვიძებს მხოლოდ რუსეთის 1905 წლის რევოლიუციის დროს **მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების** სახით. მაგრამ ამავე მიზეზის გამო ვერც მაშინ შეისხა სისხლი და ხორცი მუშათა კლასის სახელმწიფომ, ანუ მშრომელთა მასსის ხელისუფლებამ, მისმა გაბატონებამ მყვლეფელებზე და მჩაგვრელებზე, თვით ყვლეფა-ჩაგვრის მოსასპობათ. მაგრამ რამდენათაც აუცილებელია მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება, იმდენათვე თავდაპირველათ აუცილებელია მისი პოლიტიკური გაბატონება. ამიტომ 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიუციის დროს რუსეთში მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ჩაგდება თავის ხელში სულ სხვა პირობებში ხდება. **მუშების და გლეხების დეპუტატების საბჭოების** აღდგენა უკვე მოასწავებდა სახელმწიფო ძალა-უფლების მუშათა კლასის ხელში გადასვლას. მენშევიკების და მუშათა კლასის სხვა მოღალატე პარტიების მეცადინეობით საბჭოების სრულუფლებიან სახელმწიფო ორგანოებათ გადაქცევა რამდენიმე თვით შეფერხდა, მაგრამ **ოქტომბრის რევოლიუციამ** რუსეთში მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება მუშების, გლეხების და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოებს ჩააბარა.

როგორც ვიცით, 1917 წელს ჩვენშიაც იქნენ შემოღებული მუშების და გლეხების საბჭოები. მაგრამ მენშევიკებმა და მუშათა კლასის ყველა მოღალატე პარტიებმა იმ თავითვე იწყეს მუშაობა იმ მიზნით; რომ საბჭოებისთვის სახელი გაეტეხათ როგორც თვით პროლეტარიატის, ისე მთელი მშრომელი ხალხის თვალში. ამ ვაჟბატონებმა მიაღწიეს იმას, რომ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები სავსებით ჩაკლეს და დაასამარეს და იმათ პირისპირ წამოაყენეს და შექმნეს ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობის ორგანოები, ერობები და შემდეგ ეგრეთ წოდებული დამფუძნებელი კრება, რომლებიც გამოხატავდნენ მხოლოდ შეძლებულ, რეაქციონურ და პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონურ კლასების და ჯგუფების ინტერესებს და სულისკვეთებას. მართალია, საქართველოს მუშათა კლასის ერთი ნაწილი იმ თავითვე დატყუებული და მოჯადოვებული შეიქნა მენშევიკების მიერ და მოყვა იმათ მიერ გადაგდებულ ანკესზე, მაგრამ საქართველოს მუშების მეორე ნაწილი, და უწინარეს ყოვლისა მშრომელი გლეხკაცობის დიდი უმრავლესობა, თავგამოდებით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამკვიდრებლათ ჩვენში და თავის ძმურ ხელს უწვდიდა რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს და გლეხკაცობას. და მათ მიაღწიეს თავის მიზანს.

ერთი წელიწადი შესრულდა რაც მუშებს და გლეხებს ხელში უჭირავთ სახელმწიფო ძალა უფლება, — ერთი წელიწადია, რაც მუშები და გლეხები უდგას სათავეში სახელმწიფოს. ყრილობა, რომელიც დღეს უნდა გაიხსნას, გამოხატავს იმათ მუშაობის მიერ მიღწეულ შედეგებს. ეჭვი არაა და არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ ამ მუშაობის დროს მუშათა კლასსმა და მისმა პარტიამ, კომუნისტურმა პარტიამ, რაიმე შეცდომები დაუშვეს ამ სრულიად ახალ საქმეში, ამ სრულიადაც ახალ გზაზე, რომელიც თითონ მათ გაჰყავთ პირველათ.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ უნდა გაუკეთოს ჯამი საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობას ამ ერთი წლის განმავლობაში, მან უნდა გაუკეთოს სრული ანგარიში იმ გამოცდილებას, რომელიც ჩვენ მივიღეთ. მან უნდა განაცხადოს საქვეყნოდ, ყველას გასაგონათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება—ეს ნამდვილათ თვით მშრომელი ხალხის ძალაუფლება, რომელიც მიმართულია ყველა მყვლეფელების და მძარცველების წინააღმდეგ; რომ მშრომელი ხალხი დაიცავს ამ ხელისუფლებას რათაც მას ეს არ უნდა დაუჯდეს, რომ ეს ხელისუფლება მოასწავებს მის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას, რომ ის სწყვეტს ეროვნულ საკითხსაც და მიწის საკითხსაც, რომ ის შეადგენს საერთო მუშათა კლასსის საბოლოო განთავისუფლების აუცილებელ პირობას.

ერთ მთავარ საზრუნავ საკითხათ საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ უნდა წამოაყენოს აგრეთვე **წითელი ჯარის გაძლიერება-გამაგრება**, რადგანაც ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ სანამ სხვა სახელმწიფოებში ჯერ არ გაბატონებულა მუშათა კლასსი, საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენში ყოველთვის მოელის საფრთხე როგორც **შიგნიდან ისე გარედანაც**. ამასთანავე საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უნდა შექმნან მტკიცე და უმჭიდროესი კავშირი **ფედერაციის** სახით ყველა არსებულ მეზობელ საბჭოთა მმართველ მასებთან. ასეთია საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა მშრომელთათვის.

მაშ, **გაუმარჯოს საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობას! მხურვალე სალამი ამხანაგ დელეგატებს** ერთგულ დამცველთა და დარაჯთ ჩვენი მმართველი და განაწამები ხალხისა!

ფ. მახარაძე.

1922 წ. 24 თებერვალი.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლის ჯამი

(თეზისები ორატორებისათვის)

1. 25 თებერვალი—საქართველოში ყველა მშრომელთათვის უდიდესი დღესასწაულია, ამ დღეს დაემხო გამყიდველ მენშევიკების ძალა-უფლება, ამ დღეს საქართველოს მუშები და გლეხები შეიქმნენ თავისი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონი.

2. 25 თებერვალს 1921 წელს პირველათ თბილისში ამაყათ გაიშალა ძლიერი წითელი დროშა უდიდესი პროლეტარული რევოლიუციის და ამ დღიდან საქართველო სწორ-უფლებიან წევრად შევიდა საბჭოთა სახელმწიფოების უძლიერეს ოჯახში.

3. მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ შერცხვენილათ გაქცეულ და ანტანტის ფრთებ ქვეშ შეფარებულ მენშევიკებისაგან. მენშევიკების სამი წლის ბატონობის დროს საქართველო დასავლეთ ევროპის კაპიტალის კოლონიათ იყო გადაქცეული, აქ იდგნენ და ანადგურებდნენ თათრების ჯარი, გერმანელების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, აგრეთვე დენიკინის და ვრანგელისაც კი. იმ სამი წლის განმავლობაში მენშევიკებმა ანტანტის ბრძანებით და თავიანთ ინიციატივით დაარბიეს ყველა მუშათა ორგანიზაციები, გაავსეს მუშებით ციხეები, ბევრი გადაასახლეს, ბევრიც დახვრიტეს და დასწვეს. გაფიცვებზე თბილისში და ქუთაისში, მენშევიკები მუშებს უპასუხებდნენ საშინელი რეპრესიებით.

ყველგან გლეხთა აჯანყებებს მენშევიკები აქრობდნენ ცეცხლით და მახვილით.

4. გრძელდებოდა დაუთავებელი ნაციონალური ომები, ხან აძერბეიჯანთან და ხან სომხეთთან. ბურჟუაზიული რეაქციის შეუკავებელი ვაკხანალია მეფობდა ქალაქებში და სოფლებში. უკანასკნელათ მათი დაუსრულებელი სიმხეცის ნაყოფი: აფეთქებული ხიდები, დანგრეული რკინის გზები, დამტვრეული ორთქლმავლები და ვაგონები, გაძარცული ქვეყანა და სხვა. აი, ნაყოფი მენშევიკების რეაქციონური ბუნების. ახლა კი საქართველოს ხალხის ქონებით ევროპის კაპიტალისტებთან განცხრომას და ქეიფს მიცემული მენშევიკები გენუას კონფერენციაზე მასხრულად პრეტენზიებს აცხადებენ თავიანთ ძველ ადგილებზე.

5. გადაუვალი სიძნელენი წამოიჭრენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე: სურსათის შოვნა, ახლად აშენება სახელმწიფოს მეურნეობის, ტრანსპორტის შეკეთება და ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, უფასო განათლების მიცემა, შერიგება, მენშევიკების წყალობით, მტრულად განწყობილ ნაციების, შექმნა რესპუბლიკის ყველა კუთხეში მკვიდრი ხელისუფლების, რკინის ხელით

...ამხობა და გასრესა კონტრ-რევოლუციის, ყველაფერი ეს იმ დროს, როდესაც მენშევიკები ყოველ მხრივ აცხადებენ საბოტაჟს და ლამობენ მუშათა და გლეხთა ხელის-უფლების აფეთქებას.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელის-უფლებამ შეუშინებლად და შეუდრეკლად მოიკიდა თავის ახალგაზრდა ბეჭზედ ეს თითქმის შეუძლებელი თანამედროვე პირობებში, მძიმე ტვირთი და პირნათლად შეასრულა თავის დანიშნული პროგრამა.

6. უპირველეს ყოვლისა ერთხელ და სამუდამოთ მიეცა ბოლო ყოვლგვარ ნაციონალურ შუღლს, უთანხმოებას და შეტაკებას.

საქართველოს საბჭოების შემდეგ ჩვენ არ ვიცით არც ერთი არამც თუ იარაღით შეტაკება, არამედ უბრალო უთანხმოებაც საქართველოს, აზერბეიჯანს და სომხეთ შორის, აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებ შორის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებ შორის იმდენად დამყარდა და გამტკიცდა ერთი მეორის გაგება, იმდენად ძმური და ამხანაგური სოლიდარობაა მათ შორის, რომ მათი ფედერაცია შეიქმნა თითქმის ფაქტი, რომელიც მოითხოვს მხოლოდ ფორმალურ დადასტურებას.

7. მთელი მიწები უსასყიდლოთ მიეცა გლეხებს. ყველგან ენერგიული მუშაობაა, რომ დაეხმარონ ცოტა მქონე და დამშეულ გლეხს.

[illegible]

...ლუცია დამარცხებულია, მენშევიკებს უხდებათ ახლა, როგორც უწინ, მუხლმოდრეკით ევედრონ ევროპის კაპიტალისტებს და ახალი გამცემლობით ლამობენ აღადგინონ ბატონობა თავიანთი, დაშნაკელების და მუსავატელების.

11. ბოლოს, რაც ყველაზე უმთავრესია, მთელ საქართველოში უკვე ამორჩეულია სრულ უფლებიანი ადგილობრივი ორგანოები საბჭოები მუშების გლეხების და წითელ არმიელების დეპუტატების და დღეს საქართველოს საბჭოების წლის თავზე, წითელ ტფილისში შეკრებილია საქართველოს მშრომელთა მიერ თავისუფლად ამორჩეული უმაღლესი ხელის-უფლების ორგანო და საქართველოს ჭეშმარიტი პატრონი მთელი საქართველოს მუშების, გლეხების და წითელ არმიელთა დეპუტატების ყრილობა.

12. აი, რა გააკეთა საბჭოთა ხელის-უფლებამ საქართველოში ერთი წლის განმავლობაში. წინ კიდევ ბევრი მუშაობაა, ბევრია კიდევ გადასაწყვეტი საკითხები. მაგრამ მტკიცე საძირკველი სახელმწიფო აღმშენებლობის უკვე ჩაყრილია, გზა გაწმენდილია და აწი კი საბჭოების საქმეა მომავალი საქმეების მოგვარება-მოწესრიგება. საბჭოები მიიყვანენ დაწყებულ საქმეს ბოლომდის, რადგან ისინი ეყრდნობიან საქართველოს მშრომელთა ინტერესებს.

13. უდიდესი დღესასწაული საქართველოში მუშებისა და გლეხების მოხდა საქართველოს საბჭოების პირ- [illegible]

[illegible] კომიტ. საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

საქართველოს საბჭოთა ყრილობას

დღეს ხარობს მუშა, დღეს ხარობს გლეხი
[illegible]
დღეს ხარობს ყველა, ოფლის დამღვრელი
ქართველი მუშა, გლეხი ქართველი.
შენ ხარ პატრონი ქართულ ერისა,
[illegible]
...მიიღეს ამ მუშა მიწის,
ვინც თესავს, ვინც ხნავს და ვინც ნათეს მკის.
დღეს შენით ხარობს მუშა და გლეხი
მუქთა ხორებსა დაეცა მეხი,
დღეს ხარობს ყველა, ოფლის დამღვრელი
ქართველი მუშა, გლეხი ქართველი.
მაშ გაუმარჯოს საბჭოთ ყრილობას
მშრომელთა შორის ძმობა-ერთობას!

სანდრო ეული.

წითელ რესპუბლიკებში

აბხაზეთი

აბხაზეთის ს. ს. რ. საბჭოთა ყრილობა.

სოხუმი, 20 თებ. (ტელ.). 12 თებერვალს გაიხსნა აბხაზეთის ს. ს. რ. საბჭოთა პირველი ყრილობა. მთელი რიგი პარტიულ ამხანაგებისა მიესალმა ყრილობას აბხაზეთის რევკომისა, სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასკომისა, პროფკავშირთა საბჭოს, წითელ არმიის და ც. კ. რ. კ. პ. კავბიუროს სახელით.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ მქუხარე ოვაციებით ერთხმად აირჩიეს: ამხანაგები: ლენინი, ტროცკი, კალინინი, ნაზარეტიანი და ფილიპე მახარაძე. მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასკომს, სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობას, ამხ. ტროცკის. დღის წესრიგი: საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა, მოხსენება სრულიად რუსეთის საბჭოთა მე 9 ყრილობაზე, მოხსენება წითელ არმიაზე, კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია, აბხაზეთის რევკომის ანგარიში, მოხსენებები სადგილ-მამულო და სასურსათო საკითხებზე, მოხსენებები ადგილებიდან, მოხსენება სიმშილზე, არჩევანი აბხაზეთის ცენტრ. აღმასკომში, დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისთვის.

ყრილობაზე მოვიდა 250-დე დელეგატი, რომელთაგან უმეტესობა კომუნისტები არიან.

რუსეთი.

უცხო კაპიტალის წინადადება.

მოსკოვი. 23 თებერვალი. რადიო. ფინანსთა სახალხო კომისარიატში შემოდის უცხო კაპიტალისტების წინადადება ეკონომიური ურთიერთობის განახლებაზე. ამ დღეებში მოსკოვში ჩამოსულ, საფრანგეთის კაპიტალის წარმომადგენლებმა ინახულეს ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. სოკოლოვსკი. საუბარში შეეხნენ ბანკის და ვაჭრობის პოლიტიკის ბევრ საკითხებს. დანიის ლანდმანს—ბანკმაც წინადადება მისცა სახელმწიფო ბანკს მასთან საქმიანი კავშირი დაეჭირა. სახელმწიფო ბანკმა უარყო ეს წინადადება, გაყვა რა ფინანსთა სახალხო კომისარის ნაჩვენებ გზას, იმ მტრულ-განწყობილ პოლიტიკური პოზიციის გამო, რომელიც დანიის მთავრობას უჭირია საბჭოთა რუსეთის მიმართ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ, სახელმწიფო ბანკის ოპერაციების განვითარების და მისი განყოფილებების დაქსაქსვის გამო მთელ რუსეთში სცნო აუცილებლად მისი პირვანდელი კაპიტალის გადიდება. ფინ. სახალხო კომისარიატმა ბრძანება გასცა ყველა თავის სალაროებისადმი, მოახდინონ გაცვლა წვრილი ფულების ნიშნების უფრო მსხვილ ნიშნებზე. ფინ. სახ. კომისარიატმა ხურდა ფულის ანულიაციაზე წინადადება, კატეგორიულად უარყო.

საბჭოთა რუსეთისათვის.

ნოვონიკოლაევსკი. 17 თებერვალი. რადიო. გაზეთ „სოვეტსკაია სიბირმა" გამოაქვეყნა ციმბირში ცნობილ გლეხთა კავშირების ორგანიზატორის ჩრდილოეთ ოლქის მთავრობის ყოფილ წევრის ვლ. იგნატიევის წერილი.

არკვევს რა თავის პოზიციებს წარსულში რუსეთის მიმართ, იგნატიევი აღიარებს, რომ იმ ლოზუნგებმა, რომლებისათვის ის იბრძოდა, თავისი მნიშვნელობა დაკარგეს. თავის წერილში იგნატიევი მოუწოდებს რუსეთის ემიგრაციას, დაჟინებით მოითხოვონ გენუას კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის ცნობა.

წერილი დაწერილია ჩაიკოვსკის სახელზე, რომელსაც იგნატიევი სთხოვს მოუწოდოს რუსეთის დემოკრატიულ ემიგრაციას საბჭოთა მთავრობის დაუყონებლივ აღიარებისთვის ბრძოლისაკენ. იმავე გაზეთში გამოქვეყნებულია წერილები კრაკოვეცკისა და მოლოტკოვსკის, ესერების პარტიის ყოფილ წევრებისა, რომელნიც განთქმული არიან მთელ ციმბირში, როგორც საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეები. გამოქვეყნებულ წერილებში ორივე აცხადებენ, თავის პარტიიდან გამოსვლაზე და გამოსთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობა ერთად ერთი შესაძლებელი მთავრობაა რუსეთში, რომელსაც უნარი აქვს მისი ინტერესების დაცვისა.

ბოლშევიკური პროპაგანდა აზიაში

პარიზი. გაზ. „ტანი" თავის უკანასკნელ ნომრებში ეხება ბოლშევიკურ პროპაგანდას აზიაში. ბოლშევიკების მიზანი აზიაში, ამბობს გაზეთი, გაცილებით უფრო რთულია ვიდრე ევროპაში აქ ბოლშევიკები არ უარყოფენ პროლეტარულ რევოლიუციას და კლასიურ ბრძოლას, მაგრამ ერთდროულად ბოლშევიკებს დასახული აქვთ მიზნად სხვა უფრო ფართო ამოცანები. ბოლშევიკების წყალობით კვლავ დგება პან-ისლამისტური საშიშროება. კომუნიზმი და პანისლამიზმი ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, მაგრამ ფაქტიურად ისინი როგორღაც საკვირველად და საუცხოვოდ თავსდებიან ერთად. რომ კიდევ უფრო გაართულოს მდგომარეო- [illegible]

...წინააღმდეგ. განახლდა ინგლის-რუსეთის ძველი მტრობა. მაგრამ ბოლშევიკები ამით არ კმაყოფილდებიან— ისინი აშკარა ბრძოლას იწყებენ საფრანგეთის წინააღმდეგ და აძლიერებენ თავის მუშაობას ინდო-ჩინეთში. რასაკვირველია ინდო ჩინეთში ბოლ- [illegible]

...იაპონიის წინააღმდეგ ამყარებენ რუსეთის ბოლშევიკებზე. ბოლშევიკები ცდილობენ აგრეთვე იაპონიაში შეჭრას რომ გამოიწვიონ მოძრაობა ზღვის ნაპირისა და სახალინიდან იაპონელების ევაკუაციის სასარგებლოდ.

ბრძოლა შიმშილთან

ამერიკის პური

მოსკოვი. 23 თებერვალი (რადიო). რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ა. რ. ა.—სთან (ამერიკა რუსეთის ადმინისტრაციასთან) ამხ. ეიდუკმა 21 თებერვალს პირდაპირ მავთულით მიიღო ცნობა, რომ პირველი ამერიკული გემი დამშეულთათვის სანოვაგით სახელად „ვონეტაგო", მიუხედავათ გრიგალისა და ქარიშხალისა ნოვოროსიისკის ნავთსადგურზე, განტვირთეს 29 საათით წინ ვადაზე. ნავთსადგურის მუშებმა, იციან რა, რომ ამ ტვირთს მოელიან დამშეულები და მიიღეს რა მხედველობაში, რომ თუ განტვირთვა ვადას გადასცდა, რუსეთის რესპუბლიკას მოუხდება ჯარიმის გადახდა ოქროთი, უმძიმეს პირობებში თავსხმა წვიმაში დაადგინეს დასცალონ გემი ვადაზე და მართლაც ვადაზე ერთი დღე ღამით უფრო ადრე დასცალეს იგი. ეს სასახელო საქმე ნოვოროსიისკის ნავთსადგურის მუშებისა აუცილებლათ უნდა დაიწეროს წითელ დაფაზე. ამერიკის სხვა სამი გემიც სანოვაგით დამშეულთათვის ვადაზე იქნებიან განტვირთულნი.

მოსკოვი, 23 თებერვალი რადიო) სიმინდის განტვირთვა ამერიკის გემ „ბინეტაგოდან", რომელიც პირველი მოვიდა 8 თებერვალს ნოვოროსიისკის ნავთსადგურში, გაათავეს 19 თებერვალს დღის 12 საათზე. ეს გემი იმავე დღეს 3 საათზე წავიდა კონსტანტინეპოლში. იმავე დროს სცლიდნენ გემებს „გონოლულუს" და „ბარდესი სტარს", რომლებიც უფრო გვიან მოვიდნენ. სულ დამშეულთათვის სურსათი 13 დღეში განტვირთეს 770,000 ფუთი. ამ რაოდენობიდან 9 მარშრუტი გაგზავნილია უფასა და ორენბურგში საერთო ტვირთით—258,000 ფუთი. განტვირთვას მეტათ ხელს უშლის წვიმა, რომელიც ამ ჟამად მოდის ნოვოროსიისკში.

შავი ზღვის ნავთსადგურები ემზადებიან

ოდესა. 17 თებერვალი (რადიო). ამერიკის მიერ გამოგზავნილ პურის პირველი ნახევარი ოდესაში მოვა თებერვლის მეორე ნახევარში. კონსტანტინეპოლის ხელისუფალნი დაჰპირდნენ საგარეო ვაჭრობის კომისარიატს თავის დროზე აცნობონ ოდესას, რა დროს გავლენ კონსტანტინეპოლიდან გემები პურით, რათა თავის დროზე დაემზადნენ განტვირთვისთვის. ნიკოლაევის ნავთსადგური მზათაა მიიღოს 20 გემი ერთათ. ელევატორს 1,3 მილიონ ფუთის დატევნობა აქვს და იგი სრულადაა მოწყობილი ხორბლის გადასატვირთად ვაგონებში. ნიკოლაევის ნავთსადგურიდან ყინულის თავის დროზე მოსაშორებლათ ტელეგრაფით შუამდგომლობა აღძრეს ამერიკის მძლავრ ყინულის მჭრელის გამოგზავნის შესახებ. ოდესის რკინის გზის სახელოსნოები თუ რიგზე იქნებიან მოწყობილნი. შეიძლებენ ყოველ დღე 100 ვაგონის გამოშვებას. ოდესისთვის აუცილებლათ საჭიროა მატარებლების დამატებითი შემადგენლობა, რადგან ყოველ დღე გადასაზიდი იქნება 10,800 ფუთი მარცვალი. დამზადებულია სატვირთე ავტომობილები, რომლებსაც შეუძლია 800,000 ფუთის გადაზიდვა. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი სასწრაფოთ ყიდულობს 1 მილიონ ტომარას გარდა იმ 400,000 ტომარისა, რომელიც მას უკვე აქვს.

ასიგნობა თებერვლისთვის

მოსკოვი, 23 თებერვალი (რადიო). დამშეულთა დახმარების ც. კ საფინანსო ოთხეულმა დაადგინა შემდეგი ასიგნობანი თებერვლისთვის: ავანსი ა. რ. ა—ს (ამერიკა-რუსეთის ადმინისტრაციას) 50 მილიარდი მანეთი, უკრაინის დამშეულთა დახმარების ც. კ—ს 20 მილიარდი, საზოგადო კვების ცენტრო-კავშირს სესხად—15 მილიარდი, შრომისა და მრეწველობის მთავარ მმართველობას სესხად—15 მილიარდი, დამშეულთათვის დანიშნულ ტვირთების კონტროლის და დაცვის ხარჯი იანვარსა და თებერვალში—500 მილიონი და სხვა.

დამშეულთა დახმარების ც. კ—ში

მოსკოვი, 23 იანვ. (რადიო). დამშეულთა დახმარების ც. კ. სხდომაზე 18 თებერვალს გადასწყვიტეს ხელახლათ დაამტკიცონ პლენუმის დადგენილება რკინის გზებზე საქონლის გადაზიდვის დროებით შეჩერების შესახებ, გარდა თესლეულობისა, დამშეულთათვის დანიშნულ და სათბობის ტვირთებისა; მხარი დაუჭირონ წინადადებას იმის შესახებ, რომ რუსეთში მყოფ მარაგიდან დროებით ისესხონ დამატებით 3 მილ. ფ. თესლეულობა საზღვარ გარეთიდან მოსავალ თესლეულობის ანგარიშში მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ყურადღება მიაქციონ იმაზე რომ ყირიმი უზრუნველყოფილ იქნას ერთ მილიონამდე ფუთი თესლეულობით. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის მეგობრების წინადადებას—მათ რუსეთის შინა მრეწველობის ნაწარმოები მიეცეს დამშეულთა სასარგებლოთ ბაზრის მოსაწყობათ და ამ ნაწარმოების საზღვარ გარეთ გასატანად, გადასწყვიტეს მიესალმონ ამ წინადადებას და სთხოვონ საგარეო ვაჭრობის კომისარიატს, დახმარება გაუწიოს ამ საქმეში.

იტალიის დახმარება

კონსტანტინეპოლი, 16 (რადიო). გენუიდან 15 თებერვალს გამოვიდა ნოვოროსსისკის მიმართულებით იტალიის გემი „ამილკარე ჩიპრიანი" სურსათით დატვირთული 3,000 ტონით რუსეთის დამშეულთათვის. ეს ტვირთი მოდის იტალიის ხალხის სახელით. გემი პურის გადასატანათ დასთმო იტალიის მთავრობამ.

ნანსენი შიმშილზე

პარიზი, 20 იანვ. (რადიო). „ტროკადეროს", დარბაზში, პარიზში, ნანსენმა მოხსენება გააკეთა რუსეთის მდგომარეობაზე. მან დახატა სიმშილის ნამდვილი სურათი და განაცხადა, რომ არა ნაკლებ 12 მილიონი ხალხისა განწირულია სასიკვდილოთ, თუ ევროპა არ დააჩქარებს დამშეულთა დახმარებას. ასე თუ ისე რამდენიმე მილიონი კაცი უჭველად დაიღუპება. ნანსენმა კატეგორიულად განაცხადა რომ ევროპა ნებას არ მისცემს თ[illegible] თავს მიატოვოს ბედის ანაბარად რუსეთის მცხოვრებლების დიდი ნაწილი, იმ რუსეთის, რომელიც უწინ მარჩენალი იყო ევროპის.

პარიზი, 20 იანვ. (რადიო). ბურბონთა სასახლეში შესდგა თათბირი რუსეთის დახმარების საკითხზე. ფერდინანდ ბიუსენმა მოახდინა შედარებითი შეფასება მუშაობის ნიულანსის და ნანსენის დახმარების კომისიისა. ბიუსენმა აღნიშნა, რომ ნიულანსის მოქმედება სრულებით არ აძლევს პატივს საფრანგეთს. პუანკარემ განმარტა, რომ რუსეთის დახმარების დაგვიანება შედეგია საფრანგეთის და საბჭოთა წარმომადგენლების არა დამაკმაყოფილებელ მოლაპარაკებისა. საფრანგეთის წითელმა ჯვარმა შეისყიდა რუსეთის დამშეულთათვის სურსათი და ტანსაცმელი თითქმის 4 მილიონი ფრანკის.

დანარჩენი ჯამით სენატის მიერ გადადებული ხარჯებისა გახზრახული იყო შეესყიდათ კაკაო, შაქარი და ფქვილი. მაგრამ პალატის საფინანსო კომისიის და თვით პალატის დაუდასტურებლათ მთავრობა ვერ ბედავს ხარჯების გაწევას. სხვათა შორის, პუანკარემ აღნიშნა, რომ ტრანსპორტის და საფრანგეთის სურსათის განაწილების დარგში რუსეთის დამშეულებზე, საფრანგეთის წითელმა ჯვარმა გადასწყვიტა კავშირი დაიჭიროს სხვა წითელ ჯვრის ორგანიზაციებთან. პუანკარემ სთქვა; რომ საფრანგეთის წითელი ჯვრის ამგვარი მოქმედება არ არის სეპერატიული ხასიათის, რადგან ამ შემთხვევაში მაგალითი იტალიამ გვაჩვენა, შეეკვრა რუსეთს სპეციალური მოლაპარაკებით, რომ ასეთივე შედეგებისათვის მიეღწია, ნიულანსიმ მიმართა ბერლინში სკობელიოვს წინადადებით, შეხვედროდნენ რუს დელეგატებს, დახმარების აღმოსაჩენად წესის შემუშავებისთვის.

ბორდო, 20 იანვ. (რადიო). პუანკარემ დეპუტატთა პალატაში გამოსვლის დროს, სიმშილის საკითხზე განაცხადა, რომ მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთისადმი დახმარებაზე, სრულებით არ ნიშნავს საფრანგეთის მთავრობის სურვილს საბჭოთა რეჟიმის ოფიციალურად ცნობის.

გენუას კონფერენციისათვის

გენუას კონფერენციის წინ.

მოსკოვი. 12—2 იან. რადიო. „პრავდა" დღევანდელ მოწინავეს უძღვნის საფრანგეთის ბანკირების ხრიკებს, მიმართულს გენუას კონფერენციის ჩასაშლელად, და კერძოთ განზრახულ დიდი ანტანტის ექსპერტების თათბირის მოწვევას და საფრანგეთის ბეჯით მეცადინეობას, რომ ამ თათბირზე მცირე ანტანტის ექსპერტებიც მოწვეულ იქნან ამ გენუას წინ კონფერენციას მიზნათ ექნება, რუსეთი გენუაში უკვე წინათვე გადაწყვეტილ საკითხების წინ დააყენოს. „პრავდა" სწერს: „უკანასკნელ დრომდე ინგლისის მთავრობა უარჰყოფდა საფრანგეთის მოთხოვნას არა თუ მარტო დიდი ანტანტის, არამედ მცირე ანტანტის ექსპერტების მოწვევის შესახებაც. და თუ იგი ამაშიაც დაუთმობს საფრანგეთს და გაიმართება მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოებისა, მიმართული მძლავრად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ისიც მის დაუსწრებლად, მაშინ გენუას კონფერენციის მოწვევა დაჰკარგავს ყოველ აზრს. გენუას კონფერენცია გადაიქცევა უბრალო კომედიათ, რომელშიაც მონაწილეობის მიღებას საბჭოთა რუსეთისთვის არავითარი აზრი არ ექნება. ხოლო თუ საქმე ასე დატრიალდება, ე. ი. თუ გენუას კონფერენციას გამოაცლიან მთელ რეალურ შინაარს, ეს იქნება საფრანგეთის დიპლომატიის სრული გამარჯვება ლოიდ ჯორჯზე, ეს იქნება პირველი ხარისხით დასამარება კანის ყველა გადაწყვეტილებისა. გენუას კონფერენცია უნდა შესდგეს ისე, როგორც იგი მოისაზრეს კანში. როდესაც საბჭოთა მთავრობამ განაცხადა თავისი თანხმობა გენუას კონფერენციაში მონაწილეობაზე, იგი იძლეოდა პასუხს კანის გადაწყვეტილებებზე, მაგრამ მას არ განუცხადებია თანხმობა მონაწილეობა მიიღოს იმ კომედიაში, რომელიც ჰნებავს გადააკეთოს გენუას კონფერენციიდან ბ-ნ პუანკარეს. თუ მცირე და დიდ ანტანტას ჰსურთ რუსეთს უკარნახონ წინათვე მიღებული გადაწყვეტილებანი, მათ ეს შეუძლიათ გააკეთონ რადიოთი და რადიოთივე მიიღონ პასუხიც. ჩვენ იმდენად ღარიბები ვართ, რომ არ შეგვიძლიან ფული დავხარჯოთ მრავალრიცხოვან დელეგაციის გაგზავნაზე გენუაში მარტო იმისთვის, რომ მას შეეძლოს იტალიის კარგი ჰაერით სუნთქვა".

კონფერენციის გადადება

ნაუენი, 21 თებ. (რადიო). იტალიის მთავრობის კრიზისის გამო გენუას კონფერენციის მოწვევა გადადებულია. რეიტერის სააგენტო ამტკიცებს, რომ ეს გადადება იქნება ხანმოკლე, ე. ი. იმ დროის განმავლობაში, რამდენიც მოუნდება იტალიის მთავრობის კრიზისის ლიკვიდაციას და მუშაობის წინასწარ თათბირს. ამასთანავე რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ გრძელდება კამპანია უფრო ხანგრძლივ გადადებისათვის. „ტაიმსი" რჩევას იძლევა საფრანგეთის სურვილებზე და მას მემორანდუმზე დადებითი პასუხის გაცემას.

ბორდო, 21 თებ. (რადიო). ბელგიის პრესა მოითხოვს კონფერენციის მცირე ვადით გადადებას და წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას ის რომში, აპრილის დასაწყისში.

პარიზი, 21 თებ. (რადიო). „ტან"-ი ამბობს, რომ საფრანგეთის ექსპერტებისთვის არაა საკმარისი 3 კვირა ყველა სამზადისი მუშაობის დასამთავრებლად და მოითხოვს, რომ კონფერენციის მოწვევა გადადებულ იქნას უფრო შორეულ მერმისისათვის.

რუსეთის მოთხოვნილებები.

ბერლინი, 21 თებ. (რადიო). პოლონური წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს მოითხოვოს გენუას კონფერენციაზე ანაზღაურება იმ ზარალის, რომელიც რუსეთს მოუყენა დიდი ომის დროს საფრანგეთისადმი დახმარების გაწევით, და აგრეთვე ზარალის, რომელიც ნახა რუსეთმა იუდენიჩთან, დენიკინთან, კოლჩაკთან ომის და პოლონეთის მოგერიების დროს.

გენუას კონფერენციის შედეგები.

პარიზი. 21 თებერვალი. რადიო. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ გენუას კონფერენცია უთუოდ ვერ მოგვცემს დიდი მნიშვნელობის დაუყონებლივ პრაქტიკულ შედეგებს. საფრანგეთის მთავრობა და დეპუტატთა პალატა მოითხოვს რუსეთიდან და გერმანიიდან გარანტიების აუცილებლობას, როგორც აუცილებელ პირობებს მომავალ მუშაობაში ევროპის საერთაშორისო ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ რუსეთმა და გერმანიამ წინასწარ განაცხადეს, რომ უკვე მიცემულს გარდა, მათ არავითარი გარანტიების მიცემა არ შეუძლიათ. ზოგიერთი სხვა პოლიტიკური მოღვაწეები გენუას კონფერენციას სთვლიან მხოლოდ პირველ საფეხურად მოკავშირეთა შორის ურთიერთობის დამყარებისა, და ფიქრობენ, რომ ამ კონფერენციას მოყვება მეორე თათბირი, რომელსაც უკვე ექნება პრაქტიკული შედეგები.

არა მარტი. არამედ აპრილი.

ბორდო. 21 თებერვალი. რადიო. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ყველაზე უფრო მოხერხებული დრო კონფერენციის მოწვევისათვის არის აპრილის შუა რიცხვები.

ვირტი რუსეთის აღორძინებაზე

ბერლინი. 22 თებერვალი. (რადიო). კანცლერი ვირტი თავის სიტყვაში გენუის კონფერენციის შესახებ შეეხო რუსეთის აღორძინების საკითხს და სთქვა: რუსეთის აღდგენა, და ამ აღდგენის თვით გეგმა უნდა გატარდეს ამ ქვეყნის მთავრობასთან უახლოეს შეთანხმების გზით. პოლიტიკა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებისა, რომელთაც სურთ რუსეთის აღდგენა და აქამდე რუსეთის რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკება არ გაუმართავთ, იწვევს გაუგებრობას. ანტანტამ კატეგორიულად უნდა დაიმახსოვროს, რომ რუსეთის ახლშენად გადაქცევა შეუძლებელია. უსათუოდ აუცილებელია ძმური და შეთანხმებული მუშაობა გამარჯვებულ ერების დამარცხებულ ერებთან, რომელნიც სისხლისაგან იცლებიან. მხოლოდ ძალდატანებითი პოლიტიკის უარყოფით შეიძლება ევროპის და მათ შორის რუსეთის აღდგენა.

კონფერენციის გადადება.

რომი. 22 თებერვალი. (იტალ. ტელ. სააგ. რადიო). „ტანი" იუწყება: საფრანგეთის მთავრობამ, სურს რა გენუის კონფერენციისათვის უფრო სერიოზული მომზადება, აუწყა კონფერენციაზე მოწვეულ სახელმწიფოებს, რომ 8 მარტს კონფერენციის გახსნა შეუძლებელი ხდება. საფრანგეთი სთხოვს იტალიის მთავრობას გამოაცხადოს ფორმალურად კონფერენციის გადადება.

ნაუენი. 22 თებერვალი. (რადიო). გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომ თავისი მხრით წინადადებას იძ-

ლევა გენუის კონფერენცია გადაიდოს იმ მოტივების თანახმად, რომელიც პუანკარეს მემორანდუმშია ჩამოთვლილი.

ლონდონი. 22 თებერვალი (რადიო). „დეილი ნიუსი" ამბობს, რომ გენუის კონფერენციის გადადება გადაწყვეტილი ფაქტია. კონფერენცია არ შესდგება აპრილის დასაწყისამდე. რის მთავარი მიზეზია იტალიაში მთავრობის კრიზისი.

ჰანოვერი. 21 თებერვალი. (რადიო). გენუის კონფერენციის გადადების შესახებ კამათი გრძელდება. ბრიუსელიდან მოსულ ცნობებით, გადაწყვეტილია რომ კონფერენცია არ შესდგება აპრილის შუა რიცხვებამდი.

შეკითხვა გენუის შესახებ.

ლონდონ. 22 თებერვალი. (რადიო) ლოიდ-ჯორჯმა უპასუხა რა თემთა პალატას შეკითხვაზე გენუის კონფერენციის შესახებ აღნიშნა, რომ კონფერენციის გახსნის დღე ჯერ არ არის დადგენილი, ეს საკითხი დამოკიდებულია იტალიის მთავრობის კრიზისის დამთავრებაზე. „ტან"-ის ცნობებით, ლონდონის პოლიტიკური წრეები თანდათან გაურბიან საფრანგეთის მემორანდუმის მიზანშეწონილობის აღიარებას. როგორც ჩანს, გენუის კონფერენცია 8 მარტს არასგზით არ გაიხსნება.

ნაუენი. 22 თებერვალი (რადიო). როიტერის სააგენტო იუწყება, რომ პოზიცია, დაჭერილი მცირე ანტანტის მიერ გენუის კონფერენციის მიმართ, იწვევს იტალიაში გაცხოველებულ მღელვარებას. რომის გაზეთები იუწყებიან, რომ ბელგრადში 22 თებერვალს იხსნება მცირე ანტანტის სახელმწიფოების თათბირი.

ადამიანის უფლებების ლიგის მანიფესტი.

ბერლინი. 22 თებერვალი. (რადიო) „ფორვერტს"-ი ბეჭდავს მანიფესტს ადამიანის უფლებების საფრანგეთის და გერმანიის ლიგისა. მანიფესტში აღნიშნულია აუცილებლობა გერმანიისთვის ლოიალურად ანაზღაურება ყველა იმ ზარალისა, რომელიც მან ომის დროს მიაყენა საფრანგეთს. თავისი მხრით საფრანგეთი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს გერმანიის ჭეშმარიტ სურვილს გადაიხადოს ყველა თავისი ვალდებულებანი. ორივე ნაცია ვალდებულია გამოაშკარავონ თავისი არქივები, რომ ისტორიის წინაშე გამომჟღავნდეს დიდი ომის დამწყენი. შემდეგ აღნიშნულია მანიფესტში აუცილებლობა ნაციათა ლიგის რეორგანიზაციისა, სადაც ამიერიდან უნდა შევიდნენ არა მთავრობების, არამედ ხალხის წარმომადგენელნი. ამ მანიფესტის გამო „ფორვერტს"-ი სწერს: შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ლიგა დაეხმაროს საფრანგეთს გენუის კონფერენციის ამოცანების გამარტივებაში. საფრანგეთი უნდა მიხვდეს, რომ მისი მილიტარისტული და ძალდატანებითი პოლიტიკა ვერაფერს სასურველს ვერ მოიტანს და გენუის კონფერენციაზე უნდა განაცხადოს ჭეშმარიტი სურვილი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან თანამშრომლობაზე.

დასკვნაში გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანია თავის საკონტრიბუციო შესაძლებლობაში გადავიდა დასაშვებ დათმობის საზღვრებიდან. საფრანგეთის სოციალისტების ვალია აუხსნან საფრანგეთის მთავრობას, რომ მეტი მილიარდის გაღება გერმანიიდან შეუძლებელია.

კაპიტალიზმის სამეფოებში

მინისტრის დატყვევება.

ლონდონ. 21 თებერვალი, (რადიო). ბალკანეთის ტელ. სააგენტოს ცნობით, სოფიაში დატყვევებით ბულგარეთის ყოფილი პრემიერი დანევი. დატყვევება მოახდინეს მიტინგზე, როცა ის ლაპარაკობდა სტამბოლისკის წინააღმდეგ.

კომუნისტური პროპაგანდა.

ლონდონ. 22 თებერვალი, (რადიო). „ჟურნალ"-მა გამოაქვეყნა „ზინოვიევის ცირკულიარი, გაგზავნილი ევროპის კომუნისტურ პროპაგანდის ბიუროში". ამ ცირკულიარში აღნიშნულია, გაზეთის სიტყვით, კომუნისტური პროპაგანდის გაძლიერების აუცილებლობა ევროპის სახელმწიფოების ჯარისა და ფლოტში, განსაკუთრებით საფრანგეთში და ინგლისში. ცირკულიარი წინადადებას იძლევა სამხედრო ნაწილებში დაარსდეს კომუნისტური იაჩეიკები, და არ გაუშვან არც ერთი მოხერხებული შემთხვევა ყოველდღიური ცხოვრებიდან სამხედრო დისციპლინის ჩასაშლელად.

დიდი წყლის გზა.

პარიზი. 22 თებერვალი, (რადიო). ამერიკის სენატში ირჩევა კითხვა „დიდი წყლის გზის" გაყვანაზე წმ. ლავრენტის მდინარეზე დიდი ტბების ოკეანესთან შესაერთებლად. სენატორ კინგმა ამის გამო შეიტანა ამერიკულ სენატში წინადადება, რომ დაეწყოთ მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან ამერიკისთვის დასათმობად იმ ტერიტორიალური ზოლისა, რომელიც მდებარეობს შტატ ნიუიორკის აღმოსავლეთ საზღვრის და მდინარე წმ. ლავრენტის ბასსეინს შორის. ამ ტერიტორიის დათმობა აუცილებელი პირობა უნდა იყოს ამერიკის მონაწილეობისა დასახელებულ წყლის გზის მოსაწყობად ხარჯის გაწევაში.

სპარსეთი და ამიერ-კავკასია.

პარიზი. 23 თებერვალი, (რადიო). „ტან"-ი იუწყება: მამედ დოულემ სპარსეთის დელეგაციის უფროსმა ამიერ-კავკასიაში, მოაწერა ხელი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან დადებულ კომერციულ ხელშეკრულებას, რომელიც ზედმიწევნით აწყარებს სპარსეთის და კავკასიის ეკონომიურ და კომერციულ ურთიერთობას.

ფინეთი და პოლონეთი.

ბერლინი. 22 თებერვალი, (რადიო). ფინეთის პოლიტიკურ პარტიების უმრავლესობა წინააღმდეგია პოლონეთთან სამხედრო კავშირის დადებისა. ეს კითხვა შეტანილია განსახილველად ფინეთის სეიმში. არის ცნობები, რომ საფრანგეთი განსაზღვრულ ღონისძიებას ხმარობს ამ კავშირის დადების სასარგებლოდ.

ეგვიპტის მომავალი.

კონსტანტინოპოლი. ლონდონის გაზეთი „ივნინგ სტანდარტ" სწერს: ჩვენი სურვილი, ჩვენს მიერ არა ერთხელ გამოთქმული, გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ გვინდა ეგვიპტე ვიხილოთ ავტონომიურ სახელმწიფოდ, რომ ეგვიპტეს სათავეში მდგომი უკ ხოეთის ადმინისტრაცია პასუხისმგებელი იყოს ქვეყნის ნაციონალურ კრების წინაშე. მაგრამ ინგლისი ვერ დაეთანხმება იმას, რომ ბრიტანეთის ჯარის რამდენიმე ნაწილები ეგვიპტეში არ დარჩეს, არა იმიტომ რა თქმა უნდა, რომ ამით დაიმორჩილოს მცხოვრებლები, არამედ იმ ერთადერთი მიზნით, რომ დაცულ იქნას ეგვიპტე ძალადობისაგან, და არ დაუშვან რაიმე უწესოება და დაიცვან სუეცის არხის ზოლი. ჩვენ არასდროს არ გვიფიქრია ეგვიპტის ინგლისის ახალ მხარედ გადაქცევა. ჩვენ გვსურდა ამ ქვეყნის დაცვა თურქეთის უწესოება და ამბოხებებიდან შიდა ეგვიპტეში, და გარეშემოდან შესაძლებელი ბოროტ განზრახვისაგან. ჩვენი ოცნება იყო მუდამ, რომ ეგვიპტე გადაგვექცია ავტონომიურ [illegible]. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ თუ ეგვიპტის საზოგადოებრივი აზრის ხელმძღვანელნი ჩვენთან პატიოსნად იმუშავებენ, ეგვიპტე არამც თუ ავტონომიური არამედ აყვავებული ქვეყანა იქნება.

იტალია,

მთავრობის კრიზისი.

რომი. 21 თებერვალი, რადიო. იტალიის მეფემ მიიღო ბონომი, დე-ნიკოლა, სალანდრა, და ორლანდო. მომავალ მთავრობაზე საკითხი ჯერ არ არის გადაჭრილი.

პარიზი. 21 თებერვალი, რადიო. რომიდან მოსული ცნობით, მეფემ, ჯიოლიტისთან და ორლანდოსთან თათბირის შემდეგ, ხელახლა მისცა წინადადება დე ნიკოლას კაბინეტი შეადგინა.

მოსკოვი. 23 თებერვალი, რადიო. ნაუენიდან მიღებულ ცნობით ბონომის კაბინეტის ნდობის წინააღმდეგ იტალიის დეპუტატთა პალატაში ხმა მისცეს მემარჯვენე პარტიებმა ორლანდოს მეთაურობით და სოციალ დემოკრატიულ პარტიის უმეტესობამ. ჰავასის ცნობით მთავრობის კრიზისის მალე გადაწყვეტას არავინ მოელის. მეფე მოლაპარაკებას განაგრძობს პარლამენტის მეთაურთან სენატორ მოზელითან, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან დე ნიკოლასთან, სალანდრასთან, ბონომისთან და ორლანდოსთან.

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობანი.

ლონდონ. 21 თებერვალი, რადიო. „ტაიმსი" იუწყება, რომ ლორდ ნორტკლიფის აზრით, ინგლის საფრანგეთის კავშირის საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის პოლიტიკისათვის. მხოლოდ ამ კითხვის მშვიდობიანად გადაჭრის შემდეგ შეიძლება შეუდგეთ სხვა პოლიტიკური საკითხების გადასინჯვას.

ლონდონი. 21 თებერვალი, რადიო. ბრიტანეთის მთავრობამ უპასუხა საფრანგეთის უკანასკნელ ნოტაზე გერმანეთის კონტრიბუციის შესახებ. ბრიტანიის მთავრობა თანახმაა საკითხი გერმანიის გადასახადის შესახებ გადაეცეს გადასაჭრელად საკონტრიბუციო კომისსიას, თანახმად საფრანგეთის წინადადებისა, მაგრამ ზოგიერთი შესწორებით, რომელიც ეხება საოკუპაციო ჯარს, ვისბადენის შეთანხმებას და 13 აგვისტოს 1921 წლის ფინანსიური შეთანხმებას კონტრიბუციის განაწილების შესახებ მოკავშირეთა შორის.

ეგვიპტის საკითხი.

რომი. 21 თებერვალი, რადიო. ინგლისის მეფემ მიიღო ლორდი ალლენბი, ლოიდ ჯორჯთან თათბირის შემდეგ შესახებ ეგვიპტის ავტონომიისა. ლორდი ალლენბი დაბრუნდება ეგვიპტეში აღჭურვილი უფლებით გააუქმოს ინგლისის პროტექტორატი და აღიაროს ეგვიპტე სუვერენულ სახელმწიფოდ.

ლონდონ. 21 თებერვალი, რადიო. 25 თებერვალს ლორდ ალლენბი გაემგზავრება ლონდონიდან კაირში. ინგლისის პრესა ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილია ინგლისის პროტექტორატი ეგვიპტეზე, საბოლოოდ გააუქმონ.

ფრანგებზე თავდასხმა.

ნაუენი. 22 თებერვალი, რადიო. გლეივიციდან იუწყებიან ახალ ინციდენტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზემო სილეზიაში. ფრანგ ჯარისკაცმა, გამოვიდნენ რა დუქნიდან, დაუწყო სროლა რევოლვერიდან ქუჩაზე გამვლელ ნემცებს. პოლიციის ოფიცერი ნემეცის ბრძანების საპასუხოდ, ფრანგ-ჯარისკაცმა მოკლა ის ოფიცერი. ამის გამო მოხდა უწესოება, რომელსაც მოყვა ფრანგ-ჯარისკაცებზე თავდასხმა.

ევროპის არმიის რაოდენობა.

ნაუენი. 22 თებერვალი, რადიო. ბერლინის გაზეთები აქვეყნებს სტატისტიკურ ცნობებს ევროპის ჯარის რიცხვზე. გერმანიას ჰყავს ძლიერ ცოტა ჯარი—0,17 პროც. გერმანიის მცხოვრებლების მთელი რიცხვისა, პორტუგალიას—0,19 პროც., ავსტრიას და უნგრეთს—0,45 პროც. თვითეულს. პოლონეთს—1,3 პროც., ჩეხო-სლოვაკიას—1,47 პროც., სამხრეთ-სლოვაკიას—1,43 პროც., ბელგიას—1,49 პროც, საფრანგეთს—2,9 პროც.

ქრონიკა

◆ **გრძელვადიანი სესხი საბჭოთა დაწესებულებებს.** იმის გამო, რომ ბევრ საბჭოთა დაწესებულებებს, განსაკუთრებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მაგ. მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის დარგში სჭირდება გრძელვადიანი სესხი, გადაწყვეტილია კოოპერატიულ სახალხო ბანკთან, მოწყობილ მოკლევადიან სესხის პარალელურად, დაარსდეს ორგანიზაცია გრძელვადიანი სესხისა, საბჭოთა დაწესებულებებისთვის ფონდების, რაც შეიძლება, ფართოდ მისაწოდებლად.

◆ **შრომის ერთიანი სკოლა.** თბილისის ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებაში იმყოფება შრომის 109 სკოლა, 26,780 მოსწავლით და 2100 კ. საპედაგოგო პერსონალით და სკოლის საჭიროებისთვის მოსამსახურეებით.

◆ **იძულებითი სამუშაოს ბანაკი.** ნავთლუღის იძულებითი სამუშაოს ცენტრალური ბანაკი უკვე მოწყობილია და აქ დღეებში მოათავსებენ პირველ პარტიას 100 კაცისაგან შემდგარს პირველი საპატიმრო სახლიდან. ბანაკი მოთავსებულია ყოფილ სეილანოვის ფერმაზე.

◆ **თათრულ კომუნისტურ გაზეთის „ახალი აზრი"-ს მე 7 და მე 8 №№.** № 7 გამოვიდა 22 თებერვალს. [illegible] ეხება ამიერ-კავკასიის კომ. ორგანიზაციების ყრილობას. გარდა ამისა მოთავსებულია: წერილი: ბრძოლა სიმშილთან, ახგარიში საქ. კომ. პარტიის 1 ლი ყრილობისა, კომუნისტური მოძრაობა ბალკანეთში, პარტიული ცხოვრება და სხვა მასალა. № 8. გამოვიდა დღეს 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავის და საბჭოთა ყრილობის გახსნის აღსანიშნავად. მოთავსებულია წერილები: 25 თებერვლის გადატრიალებაზე საქართველოში, საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობის შესახებ და სხვა.

◆ **სტატისტიკური ატლასი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სტატისტიკური ატლასი, რომელიც შეადგინა ქალ. აღმასრულებელ კომიტეტის სტატისტიკურმა განყოფილებამ. ატლასი დიდი ტანისაა და შეიცავს 200-მდე გვერდს, ატლასში არის მოთავსებული ფრიად საყურადღებო და საჭირო ცნობები თბილისის მასშტაბით, მაგ. ეკონომიური და ფინანსიური სტატისტიკა, დემოგრაფია, ჯანმრთელობის და სწავლა-განათლების სტატისტიკა და სხვა. ტექსტის გარდა ატლასში არის მრავალი დიაგრამები. ატლასის შეძენა შეიძლება სტატისტიკურ განყოფილებაში (სტაციის ქუჩა № 2 მე 3-ე სართული), თითო ცალი ატლასის ღირება 600,000 მან., ბითუმად კი (არა ნაკლებ ათი ცალისა) დაეთმობათ 400,000 მან. ცალი. ვინაიდან ატლასი გამოვა განსაზღვრული რიცხვით, ამიტომ მსურველები ეხლავე უნდა ჩაეწერონ სტატისტ. განყოფილებაში.

◆ **ფოსტის მარკები დამშეულთა სასარგებლოდ.** ს. ს. ს. რ. სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში შეუდგნენ ბეჭდვას და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ ოთხი ღირებულების (1.000, 3.000, 5.000 და 10.000 მან.) ახალი საფოსტო მარკები ზედ წარწერით: „დამშეულთა სასარგებლოდ".

◆ **რეევაკუაცია.** 1921 წლის მაისიდან დღემდე ითელ რესპუბლიკაში საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო კომისიის მიერ გადაგზავნილია თავთავიანთ სამშობლოში 23313 კაცი; მათშორის: სომხები 9345, თათრები—8862, რუსები 1912, თურქები—837, ეზიდები—779, ებრაელები—489, პოლონელები—429, აისორები—217, ლიტველები—180, ესტონები—140, ქართველი—73, ბერძნები—19, მთიელი—12, და შვეიცარელი—9, სომხები გაგზავნილია უმთავრესად სომხეთში (9010 კაცი) და რუსეთში (235 კ.), თათრები—აზერბეიჯანში (5354 კ.) და სომხეთში (4495 კ.), რუსები—რუსეთში (1756 კ.), ოსმალები ყველა—ოსმალეთში, ეზიდები—სომხეთში (577 კ.) და აზერბაიჯანში (202 კ.) ებრაელები საზღვარ გარეთ (383 კ. და საქართველოში (77 კ.), პოლონელები და ლიტველები—საზღვარ გარეთ. ესტონელ 75—საზღვარ-გარეთ და 65 რუსეთში, ქართველები—69 საქართველოში და 4—რუსეთში.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ნავთსადენის მუშაობა.

1921 წ. პირველ მაისიდან 1922 წლის პირველ იანვრამდი ნავთსადენის მუშაობა მიმდინარეობდა სამი მიმართულებით: ნავთის გადაქაჩვა, ნავთის პროდუქტების გადაგზავნა და აღსადგენი—სარემონტო მუშაობის წარმოება. გასული წლის პირველი მაისისათვის ნავთი იყო ნავთსადენის აღმოსავლეთ ნაწილში—სადგურ ბაქოდან სადგ. აგტაგლამდი. მისი რაოდენობა როგორც ნავთის მილებში ისე სადგურების რეზერვუარებში უდრიდა მაშინ 1,700,000 ფუთს.

აღნიშნულ დროს განმავლობაში აძერბეიჯანის ნავთის კომიტეტისაგან მიიღეს გადმოსაქაჩავათ ბაქოში სულ 5,035,000 ფუთ. ამ რიცხვიდან გადმოქაჩულია და გაგზავნილია ბათომში აძერბეიჯანის ნავთის კომიტეტისათვის 3,133,000 ფუთი. პატარა სადგურებისთვის გაცემულია 983 000. აქ შედის ის ნავთიც, რომელიც გაიცა რკინის გზაის, არმიის და ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკების საჭიროებებისათვის. ამნაირად გაცემული ნავთის რაოდენობა სულ უდრის 4,116,000 ფუთს მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის ყველა ნავთსადენების ხაზებზე ნავთის რაოდენობა, ორთქლად წასულისა და დაქცეულს გარდა უდრიდა 2.420,000 ფ ნავთის პროდუქტების ეს რაოდენობა იმყოფებოდა ნავთის მილებში ბაქო ბათომს შუა და აგრეთვე სადგურების რეზერვუარებში. ნავთის გადაგზავნის მუშაობა სწარმოებდა შემდეგნაირად: 1921 წლის მაისისათვის აგტაგლის ნავთის განმანაწილებელ სადგურზე იყო ნავთის პროდუქტები სულ 62,600 ფ; ამასთან სათბობი მასალის მარაგი დასავლეთ და სამხრეთ ხაზებზე იყო ერთი ან იშვიათად ორი დღის საყოფი.

პირველ მაისიდან 31 დეკემბრამდი ბაქოდან სადგ. აგტაგლიაში მოვიდა 4,753,600 ფ და სამხრეთ და დასავლეთ მიმართულებით გაიგზავნა 4,686,200 ფ.

1922 წ. 1 იანვრისთვის სადგურ აგტაგლიას რეზერვუარებში დარჩა ზედმეტი 130,000 ფ. და რკინის გზის ხაზზე სათბობი მასალის საწყობებში ორი კვირის მარაგი.

გაგზავნილი ნავთი განაწილებულია ამნაირად: რკინის გზებისათვის—3,834,700, და სხვა საჭიროებებისათვის საბჭოთა რესპუბლიკების—საქართველოს და სომხეთის საზღვრებში 738,700 და არმიისათვის 112,800 ფ., სულ 4,686,200 ფ.

რაც შეეხება აღმდგენ და სარემონტო სამუშაოებს, ამ სფეროში შესრულებულია დიდი და რთული საქმე. თუ მივიღებთ მხედველობაში დახელოვნებული მუშების ნაკლებობას და აგრეთვე საჭირო მასალების უქონლობას, ნათელი იქნება, რომ აქ გაკეთებულია ძალიან ბევრი. 1 მაისისათვის ნავთსადენებს ჰქონდა მრავალი დაზიანება. ჯერ მარტო მილები სადგ. აგტაგლიადან ბათომამდი დაზიანებული იყო 21 ადგილას, რომლებიც გამოწვეული იყო ხიდების აფეთქებით, ზარბაზნის ყუმბარებით და თოფის ტყვიით. ამის გარდა პერიოდული კაპიტალური რემონტი მთელ ხაზზე ბაქო ბათომს შუა არ იყო მოხდენილი.

ამასთან იყო ასეთი დაზიანება: სადგ. ევლახში მილის ფუნდამენტს ჰქონდა ნაპრალი, რის გამოც სადგურის ნავთის გამტარებლობა დაკლებული იყო 50 პროც, სადგ. გორში მიწის ძვრისაგან 1920 წელში დაზიანდა კვამლის მილი. ეს დაზიანება აფერხებდა მუშაობას და მაშასადამე ამცირებდა სადგურის გამტარებლობასაც. ზარბაზნის ყუმბარებით დაზიანებული იყო რეზერვუარები: სადგ. სალოგლუში, გორში და ბათომში, და სადგ. სუფსაში კი—გრიგალით, რომელმაც 1921 წ. მოგლიჯა სახურავი სამ რეზერვუარს.

ყველა დაზიანების შეკეთებისათვის დროზე იქნა მიღებული საჭირო ზომები.

შემდეგ დამზადებულ იქნა სალტეები სადგ. ევლახის ნავთსადენის ფუნდამენტისათვის, ხელახლა აიყვანეს სადგ. გორში კვამლის მილი, შეაკეთეს რეზერვუარები სადგ. სალოგლუში, გორში, ბორჯომში და სუფსაში.

ამ სამუშაოს გარდა შესრულდა დამკვრელი მუშაობა სადგ. ქიურქჩაის აღსადგენად, სადაც ცეცხლის გამო 1921 წელში მოსპობილ იქნა საქაჩავი განყოფილება და მანქანების ნაწილები დაზიანებული ან მთლიანად მოსპობილი. 1 იანვრისათვის ყველა სადგურების მოწყობა დასრულებული იყო. ყველა დამწვარი ნაწილები ხელახლა იქნა დამზადებული და თავის ადგილას დადგმული; საქაჩავი განყოფილების სახურავის შეკეთების შემდეგ მანქანები იქნება დალაგებული და განახლდება მუშაობა.

მრეწველობა.

საამშენებლო მასალების წარმოება.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. ს. სახელმწიფო შენობათა კომიტეტის გამგეობაში ამ ჟამად იმყოფება 13 აგურ კრამიტის, 4 კირის და 2 კერამიკის ქარხანა. წარმოების სიდიდითა და აღჭურვით აგურ-კრამიტის ქარხნებიდან ყველაზე დიდი და უკეთესი არის ქარხანა ყოფილი ანდრეოლეტისა და ამხანაგობისა. მისი ნაწარმოები გადის არა თუ მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვარს იქითაც. დაფუძნებულია ეს ქარხანა 1910 წ. და მას აქეთ მუშაობა არ [illegible] ცალ კრამიტს და 20 ათას ცალ აგურს. ამ ჟამათ ქარხნის ზოგიერთი ნაწილს სჭირია კაპიტალური რემონტი. მაქსიმალური წარმოება ქარხნის მიერ მიღწეული იყო 1921 წ., როდესაც მან დაამზადა 1 მილიონი კრამიტი და 350 ათასი ცალი აგური. 1921 წელს წარმოება დაეცა და საკმაოთ ძლიერათაც დაეცა მუშების ცუდი მომარაგებისა და ფულის უქონლობის გამო. ხოლო როცა შრომის ხელფასის ნარდი ანაზღაურება შემოიღეს და როდესაც მუშების საშოვარმა იმატა, წარმოება უცებ გაიზარდა და ეხლა მიაღწია ნორმალურ ზომას. 1922 წლის წარმოებითი პროგრამით ნავარაუდევია — ყოველ დღე, მუშათა და მოსამსახურეთა წინანდელი რაოდენობით, 4,000 ცალ კრამიტის და 150 ცალი აგურის დამზადება, ე. ი. წარმოება გაიზრდება 1920 წელთან შედარებით, 50 პროცენტით.

დანარჩენ აგურ-კრამიტის ქარხნებიდან, გარდა ყოფილ ჩაიშვილის ქარხნისა (სამტრედიაში), ნაწილი ორგანიზაციის ხანაში იმყოფება, ნაწილი დრო გამოშვებით მუშაობს, უმთავრესათ ზაფხულში. ეს აიხსნება მოთხოვნილების ნაკლებობით, აღჭურვის სისუსტით და სხვა. ამ ქარხნების წარმოება შედარებით მათ ძალასთან დაეცა. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ სამშენებლო მასალაზე მოთხოვნილება არ არსებობს, საბრუნავი თანხა არაა და სხვა.

კერამიკული წარმოება საქართველოში ჯერ მხოლოთ ისახება: კერამიკული ქარხანა მარტო ორია. მუშაობა ერთ-ერთ მათგანში—ქსანისაში დაიწყო მხოლოთ წარსული წლის ოქტომბრიდან. 1922 წლიდან განზრახვა აქვთ გააფართოვონ, ქარხანა და მისი წარმოება და შეამცირონ მისი ნაწარმოების ფასი. თბილისის კერამიკის ქარხანა—რიგზე აღჭურვილი წვრილი წარმოებაა. წარსულ წელს (ივლისიდან) მან გამოუშვა 8659 ცალი. 1922 წელს აპირობენ ორივე ღუმელის ამოძრავებას და მუშების ძველი შტატით წარმოება გააძლიერონ 150 ათას ცალამდე.

კირის ოთხ ქარხნიდან ყველაზე დიდები ყოფილი ლავდანსკისა და ყოფილი ლაცაბიძის ქარხნები. რომლებზედაც სწარმოებდა მუშაობა 1921 წელს. ეს ორი ქარხანა სავსებით აკმაყოფილებდნენ წარსული წლის მოთხოვნილებას. 1922 წლის საამშენებლო სეზონისთვის ამ ორ ქარხანაში ნავარაუდევია 120 ათას ფუთი კირის დაწვა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი.

ყველა რევოლიუციონურ ტრიბუნალს, სახალხო სასამართლოს, სასამართლოს [illegible] განყოფილებას და იუსტიციის სამაზრო განყოფილებათ.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის წ|წ. 7 ნოემბრის თარიღით № 92-ით დადგენილების განსამარტებლად და მის შეფარდებაში ერთნაირობის დაცვის მიზნით, მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად შემდეგი:

1. ამნისტიის მე-3 მუხლის ძალით დაპატიმრების ვადის შემოკლების დროს, ეს შემოკლებული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წლის ვადას, რომელიც ამ ჟამად მიღებულია, როგორც დაპატიმრების ვადის უმაღლესი საზღვარი, ამიტომ უვადოთ დაპატიმრებულთ, დაპატიმრების ვადა უმოკლდებათ 5 წლამდე და ამასთან მათ შესახებ მიღებული უნდა იქნას სრული და სასტიკი განხოლოება (იზოლიაცია). იმ სასჯელ გადაწყვეტილთ კი, რომელთა დაპატიმრების ვადა ათ წელს აღემატება და რომელთაც ჯერ სასჯელის ვადის ნახევარი არ მოუხდიათ ვადა უმოკლდებათ 5 წლამდე მათ შესახებ სასტიკი განხოლოების მიუღებლად.

2 განთავისუფლებულ იქნან სასამართლოსა და სასჯელისაგან № 92 დადგენილების გამოქვეყნებამდე თავის ნებით დაბრუნებული დეზერტირები და აგრეთვე ისინიც, რომელნიც გამოცხადდნენ ხსენებულ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში.

3. იმათ, ვისაც დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ დანაშაულთათვის გადაეწყვიტათ, ან პირობით გადაეწყვიტათ დაპატიმრება და აგრეთვე იძულებითი მუშაობა,—სასჯელის ვადა, აგრეთვე პირობითი მსჯავრის ვადა უმოკლდებათ დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ წესით.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ბროდსკი.**

სარედაქციო კოლეგია.

ხამშაბათს 28 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება

საქართველოს კომუნ. პარტიის და კ. ახალგაზრდობის კავშირის თბილისის ორგანიზაციების წევრთა საერთო კრება

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში

დღის წეს-რიგი

1. მოხსენება ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე—ამხ. ორჯონიკიძე.
2. მოხსენება საფინანსო პოლიტიკაზე—ამხ. ა. სვანიძე.

მდივანი თბილისის კომიტეტისა ლოლობერიძე.

თბილისის ორგანიზაციების ყველა პარტიულ ამხანაგებს

თბილისის კომიტეტი პარტიული დისციპლინის წესით წინადადებას აძლევს გამოცხადდენ რაიონებში ყოველ კვირას დილის 8 საათზე სამხედრო ვარჯიშობისათვის.

ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ჩაითვლებიან როგორც პარტდისციპლინის დამრღვევნი—პარტიის დეზერტირები.

თბ. კ. მდივანი ლოლობერიძე.

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.